ერთი თვე სვანეთში

უშგული რაკურსში და უშგული პირდაპირ.

ქარმა დაბურული ჯანლი თან გაიყოლა და ქვეშ გამოჩნდა გორვაშის დაკიდული სიბრტყეები. უშგულის მხარეზე გორვაშის ფერდები ძლიერ დაქანებულია. ბილიკი კიდია სიბრტყეებს. ნაპრალები ქმნიან მგზავრის წინააღმდეგობებს და ჩვენ დავცქერით ზემოდან უშგულს.

ორი წლის წინად ნისლიან დილით მატარებელი უახლოვდება ბაქოს. მატარებლის ფანჯრიდან ვხედავდი ნისლში გაშლილ ნავთის კოშკებსა და შადრევანების ინდუსტრიალურ ტყეს. ეს დილა ჩემთვის ნიშნავდა თანამედროვე ნივთობრივ კულტურაში შესვლას და პროლეტარიატის მიერ მიწიდან ამოწოვილ საწარმოო ძალოვების განცდას.

ორი წლის შემდეგ გორვაშის სიმაღლიდან დავხედე უშგულის თემს. ამ სიმაღლიდან მოსჩანს ქვის კოშკების ტყე, ან უკეთ ქვის კოშკების ლიშხნარები უშგულის სახელწოდებით. კოშკების ტყე, გვეუბნება, რომ ჩვენ ვაღებთ საუკუნოების თითქმის მიხურულ კარებს და ვბრუნდებით უკან საშუალო საუკუნოების ნივთობრივ კულტურაში.

სოფლები აღებულ წერტილიდან რუხია. კოშკების და შენობების ნახაზობანი მტკიცე.

მდუმარე და უსიცოცხლო სტატიურ შენობებში გაგონდება: „მკვდარი ბრიუგე" და გიკვირს: რამოდენიმე კილომეტრის განვლით შეგვიძლია განვლილ საუკუნოებში ნახტომის გაკეთება და მისი ნივთობრივი გარემოცვის განცდა.

ჩვენს პირდაპირ კავკასიონის ფრთების შტოები და აქედან გორვაშის პერიფერია კუმშავს სივრცეს. აქ ლაშხეთივით თანდათანობით დაქანება ფერდობების არ არის და უშგულის კალაპოტიც გაცილებით ვიწროა. ვიდრე ლაშხეთის მიდამოები. ფერდობებდაკიდულია და ამ დაკიდულ სიბრტყეებს ქვემოთ, შეხუთულ გარემოცვაში დანარცხებულია უშგულის თემი.

ზევიდან ისეთი განცდაა, თითქოს უშგული უფსკრულშია ჩაკიდებული და შესმენილია იმ ქვემდებარეთა, რომელსაც მთების სახეებით კავკასიონის და გორვაშის შტოები ქმნიან. სილრმეში სოფლები მთების არტახებშია შეკრული და ყოველი მათგანი მთლიან სხეულს წარმოადგენს. გვონია გამხმარი ჩონჩხია წამოყენებული და გვონია, რომ ეს ჩონჩხები ებრძოდენ კავკასიონის კბილებზე გამოვლილ ჯირითს და ეს ჩონჩხები აშინებდენ მყინვარებზე გადმოცდენილ ახალ იდეებსაც.

პირველ შემთხვევაში კოშკები დადებითად მოქმედებდენ; მეორე შემთხვევაში უარყოფითათ.

ერთი შეხედვით უშგულში მზე არ უნდა ჩამოდიოდეს. ჩაგდებული სივრცე ისეთი ლრმაა, რომ მზის ჩაღწევა ქვემოთ წარმოუდგენელია.

ლეგენდის გადმოცემით სვანეთში იყო მთებს შორის მოქცეული დაბლობი, სადაც მზე არასოდეს არ ჩადიოდა. გარშემორტყმულ თვალუწვდენ მთებს ვერ სცილდებოდა მზე და სხივები ვერ აღწევდენ დაბლობს.

დაბლობის ტყეში ცხოვრობდენ მონადირეები და შეშის მჭრელები. ერთი ყმაწვილი მოხუცი დედით სცხოვრობდა დამხობილ ტყეში. ყოველ დღე ყმაწვილი ნებივრობდა ტყეში და ეჭირა წალდი — მოკაკვულ ჭვანკლიან ტარით. ჭვანკლის საშუალებით ყმაწვილი ეკიდებოდა ხეებს დაფერდილ ადგილებზე. ყმაწვილი იყო კარგი მონადირე. ძლიერ მაღლობზე არწივის ბუდე ეგულებოდა. ბუდეში იდვა ოქროს კვერცხი. ყმაწვილმა შემოიხვია ეკლიანი ნეშოები და არწივის ბუდისაკენ გაეშურა. ბუდესთან მოახლოვებისას, დედალ მამალი არწივი ამოფრინდენ ბუდიდან და შეებრძოლენ ყმაწვილს; მაგრამ ნიკარტი და კლანჭები რას დააკლებდა ეკლების ჯავშანში შეხვეულ მონადირეს.

ბუდეში ოქროს კვერცხი, მართლაც ალმოჩნდა.

ყმაწვილმა კვერცხი დედას მიუტანა. კვერცხიდან ქალი გამოიჩეკა ოქროს თმიანი და მონადირის ცოლი გახდა. ამის შემდეგ დაბლობში მზე გამოჩნდა და მიდამოების ბუნებრივი შესაძლებლობანი შეიცვალა. შეშის მჭრელმა და მონადირეებმა ხვნა თესვა დაიწყეს და მიწის მუშები მომრავლდენ დაბლობში. არწივის კვერცხი და მისი ქალი მზის ჩთამომავლობა ყოფილიყო. მზე ქალმა ასწავლა სვანებს მიწის დამუშავება და ეხლა ლეგენდაც უშგულის საკუთრეობას შეადგენს.

ამ სიმაღლიდან მოსჩანს უშგულის მიწის მუშაობის კულტურა და უშგულის საყანე ფართობები.

გორვაშის პირდაპირ ტვიბრის კალთაში გაწოლილია ეს ფართობი და უშგულიდან მას ყოფს მდინარე ენგური. ენგური გამოდის კავკასიონის ერთი უდიდესი მწვერვალ ჩხარას მყინვარიდან. ჩხარა ადგია უშგულს, სამხრეთ აღმოსავლეთით კარტოფილის ფქვილ გადაფრქვეული აქლემივით.

ჩხარა ნიშნავს სვანურათ ცხრა წვერს. კარტოფილის ფქვილი, მარადიულ თოვლს.

დღეს ჩხარას ნახევარი ღრუბლებს წაღებული აქვს და ნაწილი გამოდის მზის სინათლეზე.

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით უშგულს დადიაშის შტო ფეშგარი აკრავს.

ფეშგარზე ამართულია მწვერვალი ლაორბი. ლაორბი ჯიხვების საბინადრო და დასახელებულ არწივების საბუდარია.

ზემოდაბლობში მიდის ვებერთელა ალპიური მიდორი ლანქორის სახელწოდებით. მის ქვემოთ სდგას მის უფლებაში შემავალი მთა ლეგარდი. გორვაშის ჩასავალთან ქვემოთ სდგას მთა ლენკორი და ამ სიმაღლეებს შიგნით ჩაქენილია ზღაპარში მოთხრობილი უშგული.

უშგულმა მიწის დამუშავება იცის პრიმიტიული იარაღებით, და სათესი ფართობებიც მცირედი გააჩნია. ხსენებულ ფართობებზე მოსჩანს ყანების გაყვითლებული ჯეჯილი და კარტოფილის მცენარეების მწვანე ნაკვეთები.

ოქროს თმიან ქალის ჩამოყვანილი მზე ახლა უკვე გადასულია, ხოლო ოქროს თავთავიანი ჯეჯილი მოითხოვს ტაროსებს. ჭოროფა სპობს მოსალოდნელ მცირე მოსავალსაც.

უშგული შესდგება ოთხი სოფლისაგან. გორვაშის ბილიკიდან მოყოლებით მილაგება: მურყმელი, ჩაჟაში, ჩბიანი და იბიანი. სიტყვა უშგული ნიშნავს კრულს,, ხოლო მურყმელი: კოშკებს.

უშგული უნდა ყოფილიყო ისტორიკოსების მტკიცებით ქართველი მეფეების ციმბირი. ამიტომ ქართული გვარები ახლაც დარჩენილა უშგულში.

როგორც ცნობილია თავისუფალ სვანეთმა არ იცოდა ფეოდალიზმის წოდებრივი დაყოფა: თავადი, აზნაური და გლეხი. უშგულიც მტკიცე დამცველი ყოფილა ამ ტრადიციების და მთელმა უშგულმა ერთი თოფის ჩახმახს გამოაბა თოკი, ამ თოკს მთელმა საზოგადოებამ მოჰკიდა ხელი, გამოსწია ჩახმახს. ლულა-კი გამიზნული იყო თავისუფალ სვანეთის მტერ ფუთა დადეშქელიანის ზურგისათვის.

მთელი საზოგადოების სიძლიერით გასროლილ ტყვიას ვერ გაუძლო დადეშკელიანის სხეულმა და ფუთა მოჰკლა ხალხის შეერთებულმა ძალამ. ხალხი გაერთიანდა ლულაში.

აქ უშგულმა დასძლია ლოპე-დე-ვეგას ფანტაზიაც და „ცხვრის წყაროც“ უშგულმა უფრო კარგათ განასახიერა, ვიდრე ესპანელ დრამატურგმა:

სინამდვილეში გაშლილ დრამამ, დაამარცხა პოეტური დრამა.

უშგულში ყაჩაღებიც ყოფილან. სცოდნიათ მეზობელ კუთხეებიდან ჯოგის გამორეკა. ისტორიულათ ეტოქებოდენ რაჭის სოფელ ღებსა და დღევანდლამდის დარჩენილა ჩამორჩენილ ღებელებსა და უშგულებს შორის შორეული სიძულვილი. ყაჩაღობა შამათა ღებელებისა და უშგულების მტრობის გამამწვავებელია და მის შესახებ, როგორც ღებში ისე უშგულში ლექსები ტრიალებს: „შამათა ავი კაცია, ძლიერ მტრობდა ღებსა“.

უშგულელები განთქმული მონადირეები ყოფილან წინეთ და დღესაც მიილტვიან აქეთკენ; მწვერვალი ლაორბი ბევრჯერ ყოფილა მონადირეების მიერ ალყა შემორტყმული და ჯიხვების ჯოგი გამორეკილი. ახლა მხოლოდ ნადირობის იმიტაციაა დარჩენილი.

გორვაშის სიმაღლიდან ასეთ შთაბეჭდილებას იძლევა უშგული. ასეთია უშგული ისტორიულ და გეოგრაფიულ რაკურსში აღებული. სულ სხვაა უშგული პირდაპირ.

მე ვეთანხმები ბორის კუშნერს — რაკურსი ხშირათ ამახინჯებს და ზედმეტათ აეგზოტიურებს მასალას.

საღამოს 7 საათზე ჩვენ უკვე დაბლობს უახლოვდებოდით. უშგული პირდაპირ სხვაგვარ სანახაობას წარმოადგენს.

მდუმარე კოშკები და სვანური სახლები შეყრილან ერთად. გეგონებათ შენობების ჯოგია ერთად თავმოყრილი და დატყვევებული. სოფელს ირგვლივ შემოვლებული აქვს შიფერის ღობე.

ეს სოფელი მურყმელია.

სოფელში თითქოს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ არის. სდუმან კოშკები და ვერტიკალური ხაზებით იმართებიან ცისკენ. ყოველ კოშკს ორიზონტალურ ხაზებით უახლოვდება ოთხკუთხედი სვანური სახლი. დუმილია ირგვლივ და გგონია ნიბელუნგების ქვეყანაში შედიხართ. შენობებს აკრავს ჟანგის ფერი ხავსი და თეთრი და შავი შიფერი სცლიან ერთმანეთს; თავმოყრილი და წამოღერილი ჩონჩხების გროვა შეადგენს სოფელს. ხე სანიმუშოთაც არა სდგას არც ერთ სოფელში.

სოფლებში შესვლისას პანორამა იროვევა. სოფელი შევიწროებულია, მაგრამ შიგნით ხალხი მოძრაობს და ერთი შეხედვით გაღმოხვეწილთა თავშესაფარს მოგაგონებს. სახლები და ყოველ სახლთა თითო კოშკი გზისათვის სივრცეს არ სტოვებს სოფლად. გზაც სახლებ შორის ჩარჩენილი სივრცეა. სოფელში დღეს ტალახია და ფუნა.

ლაშხეთი უშგულთან შედარებით განათლებული ქვეყანაა. უშგულში ფანჯრები არც ერთ შენობას არა აქვს. ფანჯრების მაგივრათ ერთი ციდა სამკუთხედებია გამოჭრილი და შენობებში სიბნელე. ფიცარი წამლათ არ იპოვება და შიფერის პრიმიტიული წარმოება აქ უმაღლეს საფეხურზეა ასული.

უშგული ქვის ქვეყანაა.

მე გამეგონა, რომ სვანები სტუმართ მოყვარენი არ არიან. თუ ჩემს შეხვედრას განვასაზოგადოებთ, გაგონილი დახასიათება სვანების შესახებ სიმართლეს მოკლებულია:

თანამგზავრებმა ერთმანეთს ბრძოლა გამოუცხადეს ჩემი მეგობრობის დასამტკიცებლად.

კოსტა ჩარსველიანმა და ივდითი ნიჟარაძემ ჩემ პიროვნებაზე „ვეტო“ გამოაცხადეს და მეც რამდენიმე წუთის წემდეგ მურყმელის განაპირას, მდგომ ძველ სვანურ შენობაში მოვხვდი. ეს არის კოსტა ჩარსველიანის ოჯახი, მაგრამ ოჯახის უფროსი გახლავთ არა კოსტა. არამედ კოსტას მამა გუა ჩარსველიანი.

გუა ლაპარაკობს წმინდა ქართულით. თითქმის იმერული აქცენტითაც, ნასიამოვნებია ჩემი სტუმრობით და ხელმძღვანელობს პატივისცემის პროცედურას.

როგორია შინაგანი სახე გუა ჩარსველიანის სამყოფი ბინის?

დარბაზი ოთხკუთხედია: სიგრძით იქნება სამოცი მეტრი — სიგანით ოცი და ათი სიმაღლით. ამიტომ სახლი სტოვებს დამხობილის შთაბეჭდილებას. კერია გაწლილია კარის მოპირდაპირე კედელთან სამხრეთით. კერიის ქვეშ გაფენილია შიფერის იატაკი. ზედ დადგმულია ოთხი რკინა და რკინის ოთხეულს აფარია შიფერის ფურცელი; ეს წარმოადგენს სვანურ სამზარეულო მოწყობილობას. შიფერის ქვეშ ანთია ცეცხლი და რკინებზე დადებულ შიფერზე ცხვება პურის კვერები; დარბაზის ნახევარი აღმოსავლეთით ავსებულია თივით. დგას რამოდენიმე ტახტი და საქათმის როლის ამსრულებელი მორები მარცხნივ კედელზეა გადებული. კერიასთან სდგას ერთი სავარძელი სავარძელი გაკეთებულია ხის მასალისაგან; აქვს საზურგე, ხელების დასაყრდნობი და დაჩუქურთმებულია ირგვლივ. სავარძელი ეკუთ-

ვნის ოჯახის უფროსს. ეს კუთვნილება უფრო სახელის ცნებაა. ისეკი სავარძელზე ყველას შეუძლია ჯდომა. კერიაზე კიდია ნაჭა ცეცხლის ირგვლივ სდგას ჯოჯოები.

უპირველესად სტუმარიც მომათავსეს სავარძელში, გაჩალდა ცეცხლი და გუას მეუღლე შეუდგა კვერების ცხობას. ხოლო მე, კოსტამ და ივდითმა დავიწყეთ ცეცხლზე ტანსაცმელის შრობა და ბაასი.

პურის ზელის დროს მე შევნიშნე წყლის ჭურჭელი სრულიად უჩვეულო. დოქი უშგულში არ არის — და თუ არის არაყის ჭურჭლათ ითვლება და არა წყლის. წყლის ჭურჭელი გამოთლილია ხისგან. ერთი მეტრის სიგრძის ხის მორი გამოხუტნულია შიგნით, შემდეგ გამოხუტნული არეები დაცულია ფიცრის ფირფიტებით და ზემოთ ამოჭრილია ყელი, საიდანაც წყალი გადმოდის. სახელურათ მობმული აქვს დაგრეხილი წნელი და ეწოდება სვანურათ ოხარო.

გამოირკვა, რომ ჩვენ მეორე სართულში ვიმყოფებით. ჩვენ სამყოფ სახლის ქვეშ არსებობს დიდი სარდაფი. სარდაფში სვანები ზამთრობით სცხოვრობენ.

ჩვენ სამყოფ დარბაზიდან ისინი ჩადიან ზამთრობით დასახელებულ სარდაფში და ოთხფეხითურთ ბინადრობენ ქვეშ. ოთხფეხისთვის იქვეა გაშლილი ბაგა. გუა ჩარსველიანის სახლი ახასიათებს მთელ უშგულის მშენებლობას. როგორც გუას სახლი ისე მთელი უშგულის მცხოვრებლების შენობები დახურულია შიფერით. ხის მასალა მხოლოდ უშგულის სკოლაშია გამოყენებული.

კოშკები კერძო ოჯახებისაა. საზოგადო მნიშვნელობის მატარებელი მხოლოდ ეკლესიაა და ორ ადგილას გაშენებული თამარის ციხე კოშკი.

ციხეს სვანურად ეწოდება მურყვანი.

ციხეები, კოშკები და სახლები შენდება უშგულში მხოლოდ და მხოლოდ შიფერის მასალისაგან. კოშკები უმთავრესად აშენებულია ქვიან ნიადაგზე.

უშგულში შიფერი ოთხ გვარია: მერბა ბაჩ, ბუშხე ბაჩ, მუთან და თეთნებ ბაჩ.

ეს დაყოფა ხდება ქვის ფეროვანობის მიხედვით. აღნიშნული წოდებები ნიშნავს: თეთრი, მოთეთრო, შავი და მოშავო ქვა, ლაშხეთში მხოლოდ შავი ხარისხის შიფერი არსებობს; უშგული მდიდარია მრავალ-ფეროვან შიფერით. ამიტომაც უშგული ქვიდან ასხმული დეკორატიული მიდამოა.

უშგულს მართალია უმაღლესი მწვერვალები აღგია, მაგრამ სვანეთში საცხოვრებელ მიდამოებში ის ყველაზე მაღლობია და მიბ-

ჯენილია კავკასიონს და ენგურის სათავეს, ქვების წურბელასავით.

შიფერი მაგარია და საუკუნოებს უძლებდენ აშენებული კოშ. კები. უშგულში ერთად ერთი ახალი შენობაა სკოლა.

— როდის აუშენებიათ ეს კოშკები. — ვკითხე გუას.

— ბაბუა ჩემს არ ახსოვდა ამ კოშკების აშენების დრო. მიპასუხა გუამ — უძველეს დროში აუშენებიათ. ახლა ასეთებს ვინ ააშენებს ან რათ არის საჭირო.

მართლაც ამ კოშკებს უკვე ფუნქციონალურობა დაკარგული აქვთ. მაგრამ ისინი კიდევ მოღვაწეობენ ინერციით, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მუსაიფში და ტანისამოსის შრობაში მომზადდა ვახშამი. ტომრებით ჩამოტანილი პანტა ვაშლი, ჯამებით დაუგზავნეს ჩარსველიანებმა მეზობლებს. ჩვენთვის გაიშალა ეგრედ წოდებული ტაბაკი და მიუსხედით ვახშამს. ვახშმად მოიტანეს ხაჭაპურები და ყველი. ზოგიერთ კვერებში ყველის ნაცვლად ჩადებულია მოხარშული კარტოფილი. ჩემთვის სპეციალურად ადუღებული ქონდათ რძე და ერთგული მასპინძლობა გამიწია ჩარსველიანის ოჯახმა... ოჯახის უფროსმა აიღო არაყი, ჩაასხა ჭიქაში და ცოტათი გადააქცია ჭიქიდან. დალია და გადმომილოცა სავსე ჯამი.

ვახშის შემდეგ ჩემი თხოვნით თივაზე გაიშალა ჩემი ლოგინი. ლამპა და ნავთი არ არის. ლამპის მაგიერობას ლადარის ცეცხლი ასრულებს ოჯახში. ხოლო დაწოლის წინ უშგულელები ანთებენ კვარს — კვარი დაწყობილია თუნუქის ფინჯანზე და ფინჯანი მავთულით ჩამოკიდებულია კედლების საჭეზე.

მეორე დღეს მე შეუერთდი რეჟისორ კალატოზიშვილის კინო ექსპედიციას უშგულში. გამოთხოვებისას კოსტა ჩარსველიანს ფული ვაძლიე. ის საშინლად შეურაცყოფილი იქნა და მე წიგნის წერის დროსაც ბოდიშითა და სიამოვნებით ვიგონებ გუა ჩაარსველინის ოჯახს, შორეულ უშგულში.

უშგულის შიგნით.

უკვე ერთი კვირაა უშგულში ვცხოვრობ. კინო ექსპედიცია ბინადრობს უშგულის სკოლის შენობაში. ექსპედიციის წევრებმა მიმიღეს მეგობრული სიხარულით და სკოლის შენობა სახვითი ხელოვნებისა და პოეტური მეტყველების ასპარეზად გადაიქცა. სკოლის შენობას პირი სამხრეთით აქვს მიბრუნებული და უცქერის სოფელსა და შემდეგ ტვირბის მთას. დღეს 14 სექტემბერია. უშგულში თოვს და ცივა.

ჩვენ ნაბდებში შეხვეულნი დავდივართ ოთახიდან ოთახში. სკოლის დიდ ოთახში ანთია ბუხრის ცეცხლი და ცეცხლთან თბებიან რაჭველი და საჩხერელი კალატოზები.

წუხელის ცა მოწმენდილი იყო. როდესაც აივანზე გამოველ უშგული მთვარის შემწეობით დეკორატიულად იყო განათებული. ლრუბლის მცირედ ნაკვეთს გადაელობა მთვარის შუქისათვის გზა და მთა ტვიბრი წუა გაეყო შუქწერის მიხედვით. ზედანაწილი მოთოვლილი და შემდეგ მონათებული ფრაჟის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ხოლო ქვემო ნაწილს ლრუბლის ნაკვეთი აბნელებდა და მთლიანად უშგულის ფონს უახლოვდებოდა.

შუქწერის ასეთ თეატრალურ განაწილებას ხელს უწყობდა ჩხარას ცხრაწვეტიანი მწვერვალი.

ჩხარა ტვირბისა და ლეგარდოს მიერ შექმნილ რამპის უკან არის მოქცეული. ის .ორიზონტალურ მდებარეობაშია ხსენებულ მთების მიმართ. დღისით ჩხარას ფიქალო ქვებზე მარადიული თოვლია გადმოყრილი და ეს თოვლი ძარღვების მსგავს ღარებს ქმნის მწვერვალის ტანზე. წუხელის შუქწერის ფონზე თეთრ ფერს ჩაენთქა მწვერვალი მთლიანათ და ის გავდა ვეებერთელა მარმარილოს კუზიან აქლემს, რომელსაც კისერი და ბოლო კავკასიონის ქედისათვის შეუდუღებია.

ეს იყო წუხელ.

დღისით ჩხარაზე ლრუბლის ნაჭერი ეკიდა და არ წორდებოდა დანისლებამდის.

საკვირველია, ხშირად გამჭვირვალე ქსოვილის მსგავსი, ლრუბლის ნაჭერი გაჩერდა შუა სოფლის ზემოდ. ირგვლივ ლაჟვარდია და სივრცეები მოწმენდილი. ლრუბლის ნაჭერი-კი დადგება სოფლის თავზე ეპიგრაფივით და იცდის და იცდის სხეულის გაქრობამდი.

დღეს კი თოვს უშგულში. ამხანაგები ოთახში შელაგებულან და გამართულია კამათი ხელოვნების ფუნქციონალობის გამოსარკვევად. რამდენიმე დღის წინედ ჩვენ ავდარი კიდევ გამოვიარეთ. მაშინ კამათში მონაწილეობდა სვანი ინტელიგენტების წარმომადგენელნი ილია ფალიანი და ჩვენ ვიცავდით პროლეტარულ და მემარცხენე ხელოვნებას მისი თავდასხმებიდან. სვანეთში ქართველ მწერლებს სრულიად არ იცნობენ. რაფიელ ერისთავიდან დარჩენილა რამოდენიმე სტრიქონი და ის ხელიდან ხელში გადადის: „ჯიხვი და არჩვი მეყოფა ხორცი აქვს მარილიანი“; ეს სტრიქონები ეგუებიან სვანის ყოფაში შექმნილ პირობებს. სვანეთში გავრცელებულია ჯიხვზე ნადირობა. ნადირობის დამამტკიცებელ საბუთათ გამოდგება უშგულში ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანზე ამოსული ჯიხვის რქები. რქები ეკ-

ლესიას ამოუვიდა მონადირეების წყალობით. მონადირეები ეველ-
რებიან ღვთის მშობელს ნადირობაში გამარჯვებას და თუ გაიმარ-
ჯვებს რქებს ადგამენ ეკლესიას.

მკვლევარის და აპარატის მოვაალეობაა ფიქსაცია მოახდინოს
მოვლენებისა და ნივთობრივი კულტურის. ნამდვილ ფაქტებს ხში-
რად არტისტიზმი აკლიათ და არა ესთეტიური ფუნქციებით მუშაო-
ბენ ამთვისებლებზე.

გუშინ აპარატთან იდგა სამოცდაათი წლის სვანი დედაკაცი.
ჩვეულებრივ ცხოვრებაში ის ეწევა ჩიბუხს. სახე საშინლად დანაო-
ჭებული აქვს და აფურთხებს გვერდზე განსაკუთრებული ოსტატო-
ბით. არ იცის ქართული ლაპარაკი და მთელ უშგულში სახელი განთ-
ქმული აქვს, როგორც სვანური ზღაპრებისა და ლექსების საუკეთუ-
სო მთხრობელს.

აპარატთან დგომის დროს მან ყოველივე ექსტაზი დაკარგა. ვერ
მოახერხა ვადაფურთხების განმეორება საერთოდ ვერ ითამაშა და ვერ
აასრულა თავის თავი. ის არტისტულ აღნაგობას ვერ დაემორჩილა.

არის მეორე საწყისიც სვანში.

როდესაც დახეულ ტანსაცმელში სვანის ქალს იღებდენ სვანები
შეწუხდენ.

— რად გინდათ დახეულ კაბიანი ქალი. — ნაწყენი თქვა სვანმა.

— ნამდვილი ცხოვრების საჩვენებლად — აუხსენით ჩვენ.

— რა საჭიროა მისი გადაღება. თქვენ უნდა გვაჩვენოთ რო-
გორ უნდა გვეცვას.

ეს შენიშვნა საგულისხმოა სვანეთის მომავალ ცხოვრებისათვის.
პირველი სტაბილიზაცია ქმნილი ტიპია სვანის, მეორე დინამიკაში
მოცემული ადამიანი.

ეს მოხდა მზიან ტაროსში ღვთის მშობლის ეკლესიის გალავან-
თან. ჩვენ შევნიშნეთ ტვიბრის მწვერვალიდგან აფრენილი არწივი.
არწივმა გასცურა ლაჟვარდი და მიაშურა კავკასიონისაკენ ზეცის კა-
მარას. ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახება ფუთა დადეშკელიანის
პერანგი და ჩახმახზე ნაბამი თოკი. აფრენილი არწივი შეირყა სივრ-
ცეში და თვალუწვდენელ სიმაღლეებში ჩაიკარგა. ეკლესია ჯერ კი-
დევ სდგას გამოკეტილი და მოსაწყენად გაუქმებული.

მე უკვე უშგულში „საქართველოს მწერალს“ მეძახიან. გუშინ
ერთმა სვანმა მითხრა:

— სიმონ შენ ყველაფერი გულში გექნება ჩაწერილი — ცოტა
სიჩუმის შემდეგ შემეკითხა:

— რამდენი გაქვს ჯამაგირი?

ინტერვიუ: სისხლის, იოდის და საკუთრების შესახებ.

... ისინი ბიძაშვილები არიან — გვარათ ჭელიძეები. ცხოვრობდენ ბიძაშვილური სიყვარულით და შეთვისებულ მეზობლობით. იყვნენ ძმებათ წოდებულნი და სულს არ დაიზოგავდენ ერთმანეთისათვის.

სვანეთში ახლობელი ნათესავებში საფეხურიანი წოდებები არ არსებობს. იქ ყოველ ნათესავს ეწოდება მამათა სქესიდან „ძმა", ხოლო ნათესავ ქალს უძახიან „და".

და ასე ჭელიძეები სოფელ ჩიბიანიში ცხოვრობდენ ძმურათ და მეზობლურათ.

დრო მიდიოდა და მომავალ დრომ, მეც ჩამიყვანა უწგულში და ჭელიძეების ძმობაც დაარღვია. „შავმა კატამ გაირბინა ძმებს შორის" და სისხლი დასტოვა. უმცროსმა უფროსის ოჯახიდან უფროსის სახლში არ ყოფნის დროს გადმოიყვანა მარხილი და სამუშაოდ წავიდა. დაბრუნებულ უფროს ძმას არ ესიამოვნა ასეთი თვითნებობა და მისი საკუთრების დაუკითხავად გამოყენება. მოუვარდა სახლში ბიძაშვილს და, მოინდომა მარხილის ტიტულის აღდგენა. ატყდა ხელჩართული ბრძოლა. ბრძოლაში უმცროს ხელი გაეფხაჭნა და სისხლი გამოდინდა. ამის შემდეგ ბიძაშვილები მოსისხლე მტრებად გადიქცენ.

— ხომ ძლიერ გიყვარდათ ერთმანეთი? შევეკითხე უმცროსს.

— ერთი მეორის იმედით ვცხოვრობდით.

— თუ ასეა, მოსისხლეობა როგორ შეიძლება მცირე უსიამოვნების გამო.

— სისხლი, რომ არ გამომსვლოდა არაფერიც არ მოხდებოდა. სისხლი გამომივიდა. სისხლის გამოდენა ჩვენში არ შეიძლება, დაბეგვა, ძვლების დამტვრევა შეიძლება მაგრამ სისხლი არ უნდა გამოდინდეს. იოდი მინდა გაჭრილზე.

სვანეთში იოდი წარმოუდგენიათ ყველა ტკივილების უებარ სამკურნალო წამლათ. უშგულში კოოპერატივი, ფოსტა ტელეგრაფი, საავადმყოფო, არ არის. მუცლის ტკივილისგან, ჭრილობისგან და სურდოსათვის ეძებენ იოდს. იოდი ყველაფერს არ შველის.

ამ შემთხვევაში-კი იოდი გამოსადეგია — ჟანგიან ხანჯლის გამოწვეულ იარას მოსწვავს.

მეორე ბიძაშვილი სხვა მოსაზრებისაა.

— ჩემ დაუკითხავათ ჩემი მარხილი როგორ წაიღო. მარხილი ხომ ჩემი საკუთარია.

კერძო საკუთრების ინსტიქტი მძაფრია უშგულში. უშგულის მრევლის მღვდელ ნიჟარაძეს მთელმა საზოგადოებამ ჩიბიანის განა-

პირას სახლი აუშენა. მღვდელმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს აშენებული სახლი დაანგრია და იქვე ოცი მეტრის მოშორებით ისევ ააშენა. როდესაც კითხეს, აშენებულ სახლის ხელმეორეთ აშენების მიზეზი. მღვდელმა უპასუხა: პირველ აშენებაში მონაწილეობა არ მიმიღია და ამიტომ დავანგრიე. ახლა თვითონ ავაშენე და ჩემს საკუთრებას წარმოადგენს და ხელსაც ვერავინ ახლებსო".

დუკითხავათ წაყვანილი მარხილი „კერძო საკუთრების" იერს კარგავს ჭელიძის თვალში და ის იბრძვის ჟანგიან ხანჯლით საკუთრების იერის აღსადგენათ.

შეჭოჭმანდა სოფელი. არ უნდათ ძმები მოსისხლეებათ გადაიქცნენ და გადასწყვიტეს შერიგება მტრების. თავი კაცები ჩაერიენ საქმეში. მოაწყეს სხდომა. პირველი სხდომა მოხდა მარხილის პატრონთან. დაიწყეს მოწმეების დაკითხვა. უნდა გამოირკვეს ვინ არის დამნაშავე?.. სათანადოთ იწყება ქეიფი სამი დღე ერთ მხარესთან და სამი დღე მეორე მხარესთან, მოწმეები დღეში სამ-სამ მანეთს ღებულობენ. დამნაშავე იხდის თავი კაცების მიერ დადგენილ ჯარიმას. დამნაშავეთ ცნობილია სისხლის გამომდენი. რამდენიმე წვეთ სისხლმა დაამარცხა საკუთრების უფლებაც.

დამნაშავე ავსებს დოქს არაყით და უახლოვდება მოსისხლეს კარებს. მოსისხლე გამოდის და კარებთან სვამს ერთ ჭიქა არაყს. შემდეგ შედიან სახლში. იქ ხვდება მსაჯულები და იმართება ქეიფი; მსაჯულები გამოიტანენ არაყით სავსე დოქს, ილოცავენ და შემდეგ გადადგამენ გვერდზე. პირველ მხარესთან ქეიფს მოყვება მეორე მხარესთან ქეიფი. ასე წაიჩხუბნენ და ასე შერიგდნენ ჭელიძეები. ისინი ბიძაშვილები იყვნენ და აღადგინეს თავიანთი მძობა, მაგრამ დაუჯდათ ძვირად, შერიგების პროცედურამ ორივენი ჩამოაქვეითა ქონებრივათ.

ხელგაფხაჭნილი ყოველ დღე დაეძებს იოდს.

— ვერ ვიშოვნე იოდი. ექიმი არ არის სად იქნება?.. წინეთ კალაში ექიმი იყო, ახლა არც იქ არის".

— კალაში რატომ არ არის ექიმი.

— მოკლეს, აი ჩვენებურმა ნიჟარაძემ მოკლა თემკომის თავმჯდომარემ.

მოთხრობილი მოხდა სამი დღის წინეთ. ექიმის მოკვლა უფრო ძველი ამბავია, მას ერთი თვის ისტორია აქვს. იოდი დარჩა ექიმის მოსაგონარ წამლად უშგულის გამოცდილებაში. იოდი სწვამს ჟანმოსაგონარ წამლად უშგულის გამოცდილებაში. იოდი სწვავს ჟანგიანი იარაღით გამოწვეულ იარას. უშგულის იარებს იოდი ვერ უშვე-

—— : ——

ოთარ რატიანი

კოლმეურნეობა

დღეს მაზრიდან ინსტრუქტორი ჩამოსულა, ალმასკომში მოხსენება გაეკეთებინა იმ საამხანაგო საქმეზე... როგორ გაიგო ეს საქმე სიმონმა-მეთქი და მოვედი ამბის გასაგებად:

— არაფერი ვიცი, არ ვიყავ სოფელში. რაო, რა დაადგინეს თუ გაიგე?

— როგორც ნინიამ გადმომცა, თორემ მე ხომ მაგათ არ ვეკარები. მგელივით მიყურებენ.

— რაო, ნინიამ რა გითხრა?..

— სოფლის გეგმა მიუღიათ. ხელი მოუწერიათ. ეხლა ამათ კაცები ამოურჩევიათ ქალაქში გასაგზავნად.

— ვინ ამოურჩევიათ— ჰკითხა მასპინძელმა: ულვაშებზე გადისვა ხელი, ოფლიანი შუბლი მოიწმინდა...

— კოჭლი ქიტას სიძე... დათიკას ბიჭი ვანუა...

— ის ჰო, წითელ არმიაში ნამსახურია და დიდი ნდობა აქვს. გიგუას ბიჭი არ აურჩევიათ?

— რა თქმა უნდა იმას ვინ ააცდენდა.. ჰო, კოჭლი ქიტას სიძე, დათიკას ბიჭი ვანუა, გიჟუას ბიჭი გაბრუა, ერთიც მოჯამაგირე.

— აი, ტა-ტა-ტა-ტა, როგორ დააქციეს ქვეყანა! ეს სულ გაბრუას ოინებია. გააგიჟა სოფლის გოგო-ბიჭები. თხებსავით შეაბა წითელი ჩვრები და დაათრევს სოფლიდან სოფელში. ეს კონსომოლონცკი, ეს გლეხთა კრუჭოკოიო... იქ კიდევ ხეზე გადმოაბა შავი თუნუქი და ახრიალებს დღედაღამ, ყურთასმენა აღარ არის... მოთმინება არ გამომილიონ მოთმინება, თორემ არ ვყოფილვარ მე სიმონა საფარიძე, თუ მაგათ რამე არ აუტეხო.

განიერ კაკლის ხის ქვეშ ჭუჭყიან სუფრა გადაფენილ მრგვალ მაგიდას უსხდნენ, გვერდშეზნექილ, ქინქლებით გამურულ ლამპის შუშას წუილით ეხეთქებოდენ თავბრუ დახვეული კოლოები. ლამპის სინათლეზე ლანდივით ქანაობდა საფარიძის ახმახი ტანი. მის წინ იჯდა თეთრწვერა ზოსიმე ბუწუწებ ჩამოშვებული, მოკლე ჭუჭ-

ყიანი კაბით გამოწყობილი, წელზე ბრტყელი ტყავის ქამარი ერტყა და მალალი წოწოლაკი ქუდი ეხურა. ეს ქუდი ამჟღავნებდა, რომ ერთ დროს მღვდელი უნდა ყოფილიყო...

— რა გვეშველება სვიმონ, შვილო, რა გვეშველება, ვინ იხსნის ქვეყანას ურწმუნოებისგან...

— ყველაფერი წასულია, ძველის გამობრუნება აღარ იქნება.

— მაშ, რა გვეშველება, შვილო?

— იმ დღეს შეშაზე ვიყავი ტყეში... რა არ ვნახე, რა არ გავიგონე: ნახევარი გლეხობა მის ჭკუაზე აღარ არის. სამთავისის ამბავი ზღაპრად გადაქცევიათ...

— რაო, სამოთხე არისო?

— სამოთხე და მერმე როგორი თურმე. თავს იკლავენ: დავიგვიანეთო, ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ...

— ჯანაბას მაგათი თავი, მხოლოდ ეს ქრისტიანობა რომ იკარგება ეს არის ჩემი სამწუხაროო, თორემ სხვა რა? საცაა უნდა მოვკვდე...

მასპინძელმა შუბლქვემოდან გახედა.

— ჯერ სიკვდილი შორს არის, მამაო, მაგრამ, რა უფრო გაწუხებს, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, ქრისტიანობის გადავარდნა თუ უტაბლო ეკლესია... მე კი სწორედ გითხრა მეორე უფრო მაწუხებს...

— ესეც არის, შვილო, მაგრამ ქრისტიანობა ეგ სხვა საქმე იყო... ეკლესიას დღეს არავინ ეკარება, რომ ქუდი შეუგდო გლეხს გამოსატანად არ შევა.

— მააშ... არც ღვთის შიში აქვთ და არც უფროსის მორიდება... შუალამეზე რომ გაივლი ჭინკებივით ყუნტან იმ საკმითხველოში. გიჟუას ბიჭი დამდგარა ქადაგივით და ეშმაკის საქმეებს უკითხავს.

— ფუი, ეშმაკს...

გადიწერა ზოსიმემ პირჯვარი... კარგა ხანი გავიდა მათ საუბარში. გვიანი იყო როცა ზოსიმე გამოეთხოვა მასპინძელს და შინისკენ გზას გაუდგა.

2

ქალაქის აღმასკომის დარბაზის კარებთან ხალხს ბლომად მოუყრია თავი ზოგი შედის, ზოგი გამოდის.ყველანი დელეგატები არიან. ორი მოჯამაგირე იქაურობას ათვალიერებს.

— აი, ეს ძეგლი ლენინისაა... აუჰ, რამოდენა თავი ჰქონია, ალბად დიდი ტვინიც ჰქონდა... ხედავ რამოტელა საქმე დაატრიალა. აი, ესენიც სულ მაგის ამხანაგებია. ეს კი რალაა, შენი ჭირიმე? — წაჰკრა ერთმა ხელი ამხანაგს.

— გეყოფა მიხა, ეხლა წავიდეთ. — მოჰკიდა ხელი გაბრომ...

— ერთი ამიხსენი თუ ძმა ხარ... ეს რისი ნახატია...

— ესენი, ამხანაგო, ბაქოში დახოცილი კომუნარები არიან...

— უჰ, ვინ დახოცა...

— ინგლისელმა აფიცრებმა...

— აი მაგათი... როგორ პერანგა ხალხი გამოუყრიათ მთაზე... დედასა, მარჯვე ბიჭები ხართ უიარაღო ხალხზე, ერთი მანდ ვყოფილიყავი...

— ოო, ჩემო მიხა, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ.

— გაბრო, რატომ ჩვენს სამკითხველოში არა გვაქვს ასეთი სურათი.

— დღეს ვიყიდოთ და წავიღოთ. — გამოვიდნენ გარეთ. ესენი მოწინავენი არიან, მაგათ იციან გზა და კვალი... ჩამოდიან ვიწრო კიბეებზე უკან მოსდევთ სტეფანე თემკომის თავმჯდომარე და მეორე მოჯამაგირე მიხაკა, რომელსაც ქეჩის ქუდა ჰხურავს, კოტოტზე რომ გამოხვრეტილა.

— გაიჩარხა საქმე, ჰა. კარგ ფეხზე არ წამოვედით...

— რაო, ბოლოს რა გვითხრეს? ვერ გავიგე კარგად.

— რაკი დაგპირდნენო, უსათუოდ ამოვლენო, ადგილობრივად დაათვალიერებენ და მერმედ ყველაფერი გაკეთდებაო.

3

თეთრად გარანდული მესრები კარგა მანძილზე უვლიდა კოლმეურნეობის ეზოს. ლამაზი, წითელი აგურის სახლი. ფართო ფანჯრები. ეზოში სხვადასხვა ფარდულები. ერთ ფარდულში რკინის ზოდები, ეყარა, მეორეში მოწყობილი იყო სამჭედლო... გრძელი გარაჟი იარაღებით იყო სავსე... ტრიერებით, სათესი, სამკალი და სალეწი მანქანებით... და იქვე იდგა ერთი ტრაქტორიც, რომელსაც შუა ადგილი ეჭირა.

სოფლის პატარა ქალაქი. აივანზე აგრონომი, ინსტრუქტორებითურთ, ზეინკალი, მჭედელი, ექიმი, თემკომის თავმჯდომარე და ბრტყელ ყაწიმებში ჩამსხდარი კომკავშირლები. ძირს მოედანზე დაწყობილა გლეხობა, რომელიც უსმენს მოლაპარაკეს...

— გიჟუას ბიჭია.

— ბარაქალა გაბრუა...

— აბა, ვინ იფიქრებდა...

— დაიცა თანდილ, უსმინე...

— ამხანაგებო, ხვალ პირველ გარიჟრაჟზე ჩვენ გავალთ შრომის ველზე და იქ შევხვდებით ამომავალ მზეს... ჩვენც უნდა გავუსწროთ სხვა სოფელს: ახალ საქმიანობას უნდა შევეჩვიოთ. ჩვენ წინ რა გვიდგება: მშრომელმა არ გასთხარა განა ეს არხები. განა მან არ შეტბორა მდინარეები, შეაჩერა მათი დენა, გადაუგდო ყელი და სხვა მიმდინარეობა მისცა, რათა მორწყოს ის გადამწვარი მინდორ-ყანები, რომლების მორწყვასაც ვერ ახერხებდა აქამდე ზოსიმე და მისი საყდრის ღმერთიც. თქვენ ხომ გახსოვთ დიდი ჩალის ქუდიანი კაცი... ჩვენი ინჟენერი, რომლისთვის დუღაბსა და სხვა საალმშენებლო მასალას ეზიდებოდით ურმებით არხის გასაყვანად, სწორედ იმ ინჟენერის დახმარებით მოვიყვანთ ჩვენ წვიმას, როცა დაგვჭირდება. აი, აგრონომი და მისი თანაშემწენი, აი, ესენი დაიბერტყავენ უხვ კალთას ჩვენს მინდორზე და თქვენ მიიღებთ უხვ მოსავალს! მხოლოდ შრომა გვჭირია დაუღალავი... ხვალ პირველად შეეხება ჩვენს მიწას ტრაქტორის ბასრი კბილი! მაშ, გაუმარჯოს ჩვენს მომავალ საქმიანობას...

4

ღამის სიბნელეში ნელა გაიღო საფარიძის ჭიშკარი და ფეხაკრეფით გამოვიდა სამი კაცი. სოფელი მიბნელებულია. აქა-იქ ისმის ძაღლების ყეფა.

— სიმონ ბაღ-და-ბაღ გადავიაროთ არავინ შემოგვეფეთოს...

— ვინ უნდა შემოგვხვდეს ნაშუაღამევია... ერთი პირი წყალსაც კი მიეძინება.

— დაგვიანებული მენახირე ან ვინმე მგზავრი მაინც შემოგვხვდება.

გასწყვიტეს ხმა. ერთ წუთს ჩაირბინეს და შეჩერდნენ. მერე მარჯვნივ გაუხვიეს.

— შესდექით... დარაჯი ჩაძინებული იქნება. თქვენ პირდაპირ მიდით. მე აქედან გადავალ...

შეცოცდა მეთაური მაღალ ფიცრულ მესერზე.

— მომაწოდეთ...

მიაწოდეს ნავთით სავსე თუნუქი... შემოუარეს მესერს მარცხნივ.

— ვაი... — დაიძახა ერთმა. წააწყდა რაღაც ნამორს.

— რა გაღრიალებს.

— გულ-მუცელი ჩავინგრიე, გატიალდეს...

— ადე, კაცო, რა დროს ეგეებია...

— ვაი, ვაი...

— ვაი, ვაი...

— სუ დაჩუმდი, ადექ გამომყე...

— შენ წადი მე აქ დაგიცდი, ფეხს ველარა ვდგამ...

— რა მოგივიდა. არ მოგისწრონ შე ოჯახდაქცეულო...

— ჩუ რალაც ბოლის სუნია. რალაც გატყდა, ბარაქალა სიმონა... შენი ჭირიმე რა ყოჩალია.

ავარდა ცეცხლი.

— მე როგორლა მოვიქცე ეხლა? რა გავაკეთო?

— ვაი შენ და შენს კვნესას.

დაავლეს ხელი და ჩაითრიეს დალმართში.

ლამის სიჩუმეში ზედიზედ გაისმა თოფის სროლა.

ბნელეთის გმირები მიიმალნენ. სოფელმა გაიღვიძა. მორბიან ყოველ მხრიდან ფეხშიშველა, საცვლების ამარა. გაივსო ხალხით კოლმეურნეობის ეზო. ცეცხლის ჩაქრობას შეუდგენ. ყველა ეზიდება წყალს. თავგამეტებით მუშაობენ. სამართველოდან ნივთებს ეზიდებიან. მანქანებს ეჭიდებიან. „ტრაქტორს“ ვინ დასძრავს. მემანქანე სად არის...

ცეცხლი დასძლიეს. ჩააქრეს. დაქანცულმა, სახე შემურულმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

გათენებამ მოატანა. მტრედის ფერად შეფერადდა აღმოსავლეთი.

— ამხანაგებო.

დაიძახა გაბრომ და კიბეზე აირბინა.

— გამიგონეთ ამხანაგებო...

ხალხი შექუჩდა. სმენად იქცა...

— ამხანაგებო, ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა... ბრძოლა ბუნებასთან, ბრძოლა ადამიანებთან. ბუნებასთან ბრძოლა უფრო ადვილია. ადამიანების ღვარძლიან გულს კი ადვილად ვერ დაიმორჩილებ თურმე... ეს შემთხვევა პირველი არ არის. რამდენი სათიბები დასწვეს მაგ ვაჟბატონებმა. რამდენი ტყე დააქციეს, იქნება წყალსადენსაც შეეხენ — ბინძური ხელებით, მაგრამ ჩვენ მაინც ვივლით წინ და ძირფესვიანად ამოვაგდებთ ღვარძლიან ბალახს... ჩვენის რკინის ხელებით დავლუნავთ მაგათ სიჯიუტეს... სად არის მემანქანე, აგუგუნდეს მოტორი.

რამდენიმე მოტორი ხვნეშით დაიძრა ადგილიდან, ჯაჭვები დაიჭიმა, ბოლი ამოუშვა და ხვნეშით გამოგორდა მინდორზე...

ფეხდაფეხ მისდევს გლეხობა. ურმულით გაიარეს სოფლის შარა. ტრაქტორის განიერმა ბორბალმა მტვრის კორიანტელი დააყენა, მი-

ვიდნენ, მიატანეს, მძიმე გუთანმა შესდგა ფეხი ქალწულ მიწაზე. ჯერ მას სახნისის პირი არ შეხებია.

საძოვრად მიშვებული №-ს ველი — მუდმივად შმორის სუნი, შუადღისას ჭაობიდან ანაორთქლი სქელი ნისლი, ხარაბუზა, ყვითელი კალია და ცოცხებისგან დაყვითლებული მწყემსები... დღეს ეს ველი უნდა დაისეროს ეს მიწა დაიხნას, მოსკდეს მოსავალი და აივსოს საერთო ბეღელი...

დაჰკრა საყვირმა დატორტმანდა ტრაქტორი, დაიჭიმა ჭაპნები და ვასწია მანქანამ. მისთვის არ არსებობს „შენი, ჩემი" საზღვარი. გლეხები მისდევენ უნდათ დაინაიხონ თვითეული ნაწილის მოძრაობა, მაგრამ ვინ დაეწევა. მიჰქრის, ბრდღვნის დედამიწას. თავდაყირად აყენებს მსხვილ ბელტებს.

ამას ოცი ყევარი კამეჩიც ვერ მოერევა. ათი გუთანიც ვერ შეედრება.

„აი შენი გულისა, შენი გამკეთებლის ჭირიმე".

მალე გამოვიდნენ ფართობის თავში, მდინარესთან დადგა ტრაქტორი.

ორლობიდან მოისმის დოლის ხმა.

— ვინ არიან...

— ბიჭები იქნებიან...

გაბროს თვალები გაუბრწყინდა. იცის ვინც მოდიან. გამოჩნდენ წინ მოუძღვით პიონერების ბაირალი. უკან მღვდლის ანაფორით და საცეცხურის ქნევით გადაცმული კომკავშირელი მოასვენებენ კუბოს.

— აწ განუსვენე, უფალო, მონასა შენსასაა...

ლაღადებს ერთი.

— მოხსენით თავი, რა არის შიგ.

დაინტერესდა გლეხობა.

აიღეს კუბოს თავი...

— უუჰ.

კუბოში გუთანი აღმოჩნდა.

— რა უნდა უყოთ.

— კოცონზე დავსწვათ.

— ნუ იზამთ მაგას, ბიჭებო.

ჩაერია ლაპარაკში ერთი მოხუცი.

— ჰა, მამუკა, კიდევ გახლავს ძველი! — შეუტია გაბრომ.

— დაიცა, ჯიელო, ნუ ჩქარობ. არ არის კარგი! ეს საწყალი აბრუნებდა აქამდე მიწას, მაგის წყალობით სჭამდი პურსა და ეხლა უპატიურად ნუ მოვექცევით.

— დაგვაცა, მამუკა. დაგვაცა, ამხანაგებო... ეყოს რაც გვემსახურა. აწ განუტევოს და მოისვენოს. გაუმარჯოს ახალ საქმეს.

— ვაშაააა...

იგრიალა ხალხმა, ამ ხმამ გუგუნით გადაურბინა ახლად გადაბნულ ველს. გასრიალდა მდინარეზე. თვალთ საჭვრეტზე წამოჭიმულ მთებს და მათ მცხოვრებთ უძღვნა სალამი...

— ბიჭებო, — დაიძახა გაბრომ.

— ააბრიალეთ.

ახალგაზრდობა დატრიალდა, ერთ წუთში ცეცხლის ენები ავარდა ცაში.

— უნდა დასწოთ, შვილო? რისთვინაო, მადლიანებო, რათ გინდათ რომ ტყვილა გააფუჭოთ მჭედელს გადავსცეთ, ათი თოხი გამოვა.

არ სცხრება მამუკა.

— დამაცა მამუკა, დამაცა, აი შენ ჩემს ლონეს უყურე.

ვეებერთელა გუთანს ბუმბულივით წაავლო ხელი გაბრომ და გადისროლა ცეცხლში.

— ლონიერი ვყოფილვარ.

— კიდევაც.

— მაშ არადა...

ხუთ წუთში გავარვარდა გუთანი. ნელ-ნელა გაშავდა და ჩაიფერფლა...

— ეგ რა მოუვიდა, ქრისტიანებო...

გაიკვირვეს.

— ქრისტიანებო, კი არა ამხანაგებო... რომ ვერ გასწავლეთ.

— ჰო-და ამხანაგო, ეგ როგორ ჩაიფერფლა, კაცო.

— გაგიკვირდათ? მოდელია ბაბუა, მოდელი, ნამდვილი არ გეგონოს.

— ოდელია?

— ჰო, ოდელია, დელია, — გადაიხარხარეს ბიჭებმა.

— ძველი გუთნის სახეა ბაბუა. უყურეთ, უყურეთ როგორ ჩაიწვა. თქვენ გეგონათ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა დაუზოგველი ვიყავით. ძველ გუთანს კი, ნამდვილს, დავადნობთ ცეცხლში და სხვა სახეს მივსცემთ.

— აი თქვენ კი გაიხარეთ.

5

დასცხა, მზემ დააჭირა. მუშებს დაღლა არ უგრძვნიათ, მაგრამ კუჭმა კი თავისი წილი მოითხოვა. შეწრიალდა ადამიანი...

გზის თავში გამოჩნდა თავსაფარ გადაფენილი დედაკაცები. ახალგაზრდა გოგოები, გასათხოვარი ქალები. მოდიან სიცილ-ხარხარით. მოაქვთ კალათები, ხელსახოცებით, ბოხჩებით, დოქებით. მოვიდენ დიდი მუხის ძირას. მოქუჩდენ, დაამტვრიეს ხის ტოტები. გაიშალა მწვანე სუფრა, ამოლაგდა ნაზუქები, მოხარშული დედლები, ბურვაკი, ყველი, მწვანილი, კვერცხები, გაწურული მაწონი და სირსველი ლობიოც... აქა-იქ დოქები ჩაიდგა განიერ სუფრას ირგვლივ შემოევლო ახალგაზრდა წითელლოყა მერიქიფენი... მოვიდა ხალხი. ოფლიან სახეზე სიამოვნების სხივი გაციაგდა. განზე გადგა მალალი წერწეტა გოგო დოქით ხელში და მას გვერდში ამოუდგა მეორე ხელსახოციანი.

— მობრძანდით, ამხანაგებო, გადიბანეთ ოფლიანი ხელპირი. შეექეცით, რაც კეთილი გულით შევსძელით ქალებმა.. საერთო ძალით საერთო სამზარეულოთი გაგიმასპინძლდით. — სთქვა დარბაისელმა ქალმა. დაიბერტყეს მტვერი, დაიბანეს ხელპირი, ჩამოუშვეს დამკლავებული პერანგის სახელოები და შემოუსხდნენ ირგვლივ სუფრას...

— ამხანაგბო...

ჭიქა აიღო მეურნემ...

— მართალია, ლაპარაკში კოჭლი ვარ, ჩვენს გაბროს ვერ გავეჯიბრები მის მოხდენილ სიტყვაში, მაგრამ მაინც მომეცით ნება ორიოდე სიტყვა გითხრათ, და დავლიო სადღეგრძელო იმათი, ვინც ყოფილა კაცობრიობის ბურჯი, არის დღესაც და უნდა იქნეს მომავალშიც. მე არ შევეხები არც ჩვენს მშენებლობას და არც ჩვენს საქმიანობას მე მინდა დავლიო სადღეგრძელო, ვინც მუდამ ფარვავანსავით დატრიალებს მამაკაცის კეთილდღეობას და მის საქმიანობას, ვინც მარად აქეზებს მამაკაცს მის შემოქმედებაში. ეს არის დედაკაცი. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ქალებს, ჩვენს ამხანაგებს.

— ვაშაა. — დასცალა და გადაუგდო ჭიქა გაბროს.

გაისმა ტკბილი მრავალჟამიერი... რასაც აჰყვა წკრიალა ხმები... გაჩაღდა პურობა, აჟუჟუნდა წამწამები და ბევრი წყვილი თვალი მოხვდა ერთმანეთს.

— მათიკო, დაირი, — წასჩურჩულეს გოგოებმა ერთს.

გაისმა დაირი.

— ტაში.

წამოხტა ბიჭი თმაქოჩორა ქორივით შემოავლო წრე, რამდენჯერმე დაურბინა და მოსძებნა, ვინც უნდოდა...

— ჰაიდაა, ბიჭებო.

ააგდო ცაში ქუდი მამუკამ.

— ჰაიდაა, თქვენი ჭირიმე...

...ზოსიმემ მოციქული გამოუგზავნა კოლექტივს. თავის ანაფორა და კაბა შეახვია, ჯვარიც ზედ დაადო და შემოუთვალა:

— მე გავიგე თქვენი ძალა, შევიგენ ღვთის სიტრფე. დღემდე მეც ისე მეგონა, როგორც მასწავლეს, მაგრამ დანგრეულმა საყდრებმა ღალადყვეს, რომ ტყვილია ყველაფერი. მიმიღეთ და შემივრდომეთ. თორემ თავს აუტეხ რასმე, არ შემიძლია ესოდენ განდგომილობა.

სიმონა საფარიძეს ნელ-ნელა ჩამოეცალა თანამოაზრენი, ის მაინც გაპირმეხებული იდგა ჯიუტად და გაასკეცებული ძალით ასკდებოდა შრომას. არწივივით დასტრიალებდა თავის ოჯახს, ვენახს, საქონელს, სახნავ მიწას, „არა ავნონ — არა დააკლონ-რაო“.

რალა აქვს სიმონას ჩამოსართმევი, გამოსარჩენი. განა სიმონას ოდენი ქონება ყოველი ძაფის გამყიდველ ვაჭარს არა აქვს ქალაქში. განა სიმონა დაქირავებულ შრომით სცხოვრობს და თავის ოფლით არ აპოხიერებს ნამოჯამაგირეობით შეძენილ მიწას. სიმონას მამაც ხომ ხიზანი იყო, მოჯამაგირეთ შეფარებული მებატონესთან. მერე ვილაც უპატრონო ოხერზე დაქონწინებული. მაგრამ რა მისი ბრალია, თუ ჭკუით მოიქცა, თუ ქეიფში არ გააფუჭა სისხლად აღებული ფული. შეიგნო მისი ძალა. ერთი მეორეს აწება და მერე თავაწყვეტილ თავადის ქონება ჩაიგდო ხელში გამოყიდვით. განა ამაში სიმონა დამნაშავეა? ან დამნაშავეა იმაში რომ არ უნდა მოზომილი ლუკმა. რომ არ შეუძლია თუ თავის ბელელს სავსეს არ უყურებს...

ასე იყო დღემდის, ასე ფიქრობდა თავისთვის, ამ სიტყვებით იბრძოდა, უნდოდა დაერწმუნებია ყველა თავის სიმართლეში...

ფრთა მოაკვეცა ზოსიმეს გადახრამ. ჩერჩეტი უწოდა. მაგრამ ამაზე უფრო მეტიც მოხდა, რამაც ლამის გასტეხოს კაცი.

ოჯახი აერია სიმონას, არ არის მისას დაჯერება. აღარ მოსჩანს სიმონა უფროსად. ერთად-ერთი ქალი ჰყავს და ლამის გაეჭრეს სახლიდან. რათ უნდა სიმონას თმაშეკრეჭილი, ტყავის ქამარ-შემოჭერილი ბიჭად გადაქცეული გოგო? მართალია ვაჟი არ ჰყავს, მაგრამ ამნაირი სახის ვაჟიც არ უნდა. განა რომელიმე ოჯახის შვილი ემრიკოს დაიწუნებდა. დაისიძებდა სვიმონა და ეყოლებოდა ქალვაჟი. დღეს, დღეს რა მოსდის, ლამის ყველაფერი გაუნიავდეს. ამას არ აპატიებს სიმონა იმას, ვინც ოჯახი აურია, სოფელი შეარყია. ამოაცლის გულს იმ ვაჟბატონს და წვეთ-წვეთობით გამოსწურავს სისხლს.

ამ ფიქრით თავდამძიმებული სიმონა საფარიძე ნელა მოაჭრიალებდა საფქვავით დატვირთულ ურემს. საშემოდგომო ჭირნახული დაეფქვა. წელიწადში ორჯერ ფქვავდა სიმონა, შემოდგომაზე და

საალდგომოთ ახლა ფქვილში ამოგანგლულა. ხუთ დღეს თავს დასტრიალებდა. შორს წაელო, ახლო-მახლო წისქვილებმა არ დაუფქვეს. საერთო ბელლის საფქვავები ჰქონდათ. შორიდან მოდის. დაღლილა კაცი, და ტომრებში ჩაწოლილი მისჩერებია შემოდგომის მოკამკამებულ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. ოდნავ გრილა და ნაბადი წაუგდია ზედ.

ცხენის ნელმა ფეხის ხმამ გამოარკვია, ასწია თავი. ვერავინ დაინახა.

ახალგაყვანილ არხის გასწვრივ მიჭრიჭინებს ურემი. დუღაბის ვიწრო კალაპოტი ვერცხლის ქამრათ მისდევს განიერ თხრილს, რომელშიაც შხუილით მირბის თავგამოგდებული მდინარე.

— მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძლიერი არიან ეგ შეჩვენებულები, ქვაში ზეთს ადენენ! ვინ იფიქრებდა, ყვირის წყალი ამ მინდორზე გადმოვიდოდა, ვინ იფიქრებდა ბურუსას ველი ბოლოზათ გადაიქცეოდა, მაგათ ყველა ეს გააკეთეს, მაგათ ყველა ეს შესძლეს. ვინ დაუდგება წინ? მაგრამ მე მაინც არ მომწონს, მე მაინც ვერ შევურიგდები. ჩემი ჩემია, შენი კიდევ შენია. მაგათ კი ასე უნდათ: ჩემი შენი, შენი კიდევ ჩემი...

— ვერა, ვერ მოვრიგდებით.

წამოიძახა ხმამაღლა...

ცხენოსნები წამოეწიენ. ვინ არიან, ნეტავი?.. სიმონამ წაიფარა ნაბადი. არ უნდა დაენახოს. მაგრამ ის კი უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან... ვინ დაძრწიან ამ შუალამისას.

— ისინია. მაშ არადა ვინ იქნება. ქალაქში ყოფილან, დაუგვიანიათ...

— სამი ცხენოსანია, ერთმა დაიწინაურა და დაჰკრა ცხენს მათრახი. ორი ნელა მიდის...

„ეს ვინ უნდა იყოს“...

ქალია.

ბიჭივით გადამჯდარა ცხენზე... აი დასწყევლოს ეშმაკმა... გაუთანასწორდნენ სიმონას.

— როგორ უპატრონოთ მიდიან ხარები! — სთქვა ერთმა ცხენოსანმა. სიმონას გული ჩაენგრა, ეს ხომ მისი ნაცნობი ხმაა.

— ვა, არ გადიჩეხოს სადმე!

გნაგრძო იმავე ხმამ.

— სად გადიჩეხება, სწორი გზაა. პატრონს ალბად ურემში ეძინება...

— სადაური ურემია ნეტავი.

— ჩვენებური იქნება.

— ჩვენში ვილას აქვს ეხლა ამდენი საფქვავი.

— რას ამბობ, ემრიკო, განა მამაშენს თუ გინდ, ცოტა პური აქვს...

— მამაჩემს... ჰო, მართალია.

წამოწითლდა...

— მართლა მამას ჰქონდა საფქვავი წაღებული, იქნებ ის იყოს.

— მერედა, თქვენს ურემს ან კამეჩებს ვერ იცნობ.

— როგორ უნდა ვიცნო, ურემი ურემსა ჰგავს, კამეჩი კამეჩს... შეანელეს ცხენები.

— მართლა, ამხანაგო, ემრიკო, ვერა ხარ აქტიური.

— რაზედ მისაყვედურებ, ამხანაგო გაბრო.

სიმონამ კბილებს მოუჭირა.

— ვერ იქონიე გავლენა მამაშენზე.

— რა ვიღონო, ამხანაგო, ის კლდეა გაუტეხელი.

— მაშ, უნდა გაგაფრთხილო, საკითხი ბევრჯერ იყო უჯრედში დასმული: ან პარტია ანდა ოჯახი.

ქალმა ცხენს ღონივრად დაჰკრა მათრახი, ბედაური შეტორტმანდა, განზე გახტა, ქალმა მოსწია სადავეს. ცხენი უკანა ფეხზე შესდგა. გაბრომ მიაგდო თავის ცხენი, გადასწვდა ემრიკოს ცხენის სადავეს. უნდა მიეშველოს.

— მომეცა, ამხანაგო, მევე დავიმორჩილებ.

შეიოკა... ეხლა ნელა მიგოგმანობს...

ქალმა თავი გაიქნია, ნიავმა შეკრული ხვეული თმები აუშალა. სიომ სახეში შეუღიტინა. ღრუბელს მოფარებულმა მთვარემ გადიგდო პირბადე და დაანათა ემრიკოს სახეში.

გაბროს თვალი მოეჭრა, ცხენი ქალის ცხენს მიატყუპა და გადიხარა. ემრიკოს სხეულს აეტმასნა.

— ამხანაგო... — გაისმა ემრიკოს ხმა. გაბრო გონს მოვიდა. ისევ დაჰკრა ცხენს მათრახი, გაიგდო განზე.

— გადაეცი ამხანაგებს: ემრიკო ან მოაქცევს ურწმუნო თომას ოჯახს, ან გაეყრება მათ, პარტიას კი არ დაეთხოვებათქო...

ჰკრა ქუსლი ცხენს და გააჭენა... გაბროც გამოედევნა.

სიმონამ ასწია თავი და თვალი მიმავალთ გააყოლა. მტრედის ფერ მკრთალ სინათლეში ერთხანს მოსჩანდა მიმფრინავი წერტილი, მერე ისიც მისწყდა და დაიკარგა. სიმონა დარჩა თავის კამეჩებთან, ერთი ღრმად ამოიგმინა.

— აჰა, თურმე როგორ ყოფილა საქმე. ყველა მტრად გადამქცევია. შვილიც კი გადამკიდებია. მაგისთვის არ ვშრომობ და ვიდგამ წელებზე ფეხებს... ესეც გამექცა, ალბად დედამისიც თანახმაა, თორემ... უთუოდ ისიც მომხრეა...

კიდევ დაჰკრა სახრე კამეჩებს და სვლა აუჩქარა.

6

ხანგრძლივი იყო მამა და შვილის მოლაპარაკება.

— მამაჩემო, ან მე და ან შენი სიჯიუტე...

— კარგი და მიბრძანე როგორ მოვიქცე...

— როგორ მოიქცე. გამობერტყე ბელელი, ხვალვე დააწყე ურემზე და მიიტანე ალმასკომის კარზე. გამორეკე საქონელი და ისიც საერთო ქალტაში შელალე. გულიდან ჟანგი ამოირეცხე და შუბლგაშლილი წარუდექი ჩემს უფროს ამხანაგებს...

სიმონასათვის სასტიკი განაჩენია ეს. ცოტა იფიქრა.

— და თუ ამას არ გავაკეთებ.

— შენთვისვეა ცუდი... ხმა წართმეული გაქვს...

— და შენ წახვალ ჩემგან არა...

— ასეა...

— თუ ასეა, მოვიფიქრებ, მაცალე...

— რას აპირებ?

— არ ვიცი.

7

ელექტრონის წისქვილის ასაშენებლად კარგა მანძილზე დასჭირდათ მდინარის შეტბორვა...

ბევრი შრომა დაიხარჯა, ბევრი ცოდნა მოუნდა.

და დღეს მისი გახსნის დღეობაა, როგორც იყო კოლმეურნეობის დაარსების პირველ დღეს. ხოლო დღეს ეკლესიის მესრიდან არ იყურება ზოსიმე და არ უგზავნის წყევლა-კრულვას ხალხს... პირიქით, თმაშეკრეჭილი გახუნებულის ხალათით და თავის ბრტყელი სარტყელით ისიც ურევია ხალხში. ისიც საქმიანობს. აქ არის მთელი სოფელი. მაზრიდან სტუმრები მოსულან. აკლია სოფელს მხოლოდ სიმონა. ის ერთ კვირაზე მეტია, რაც წავიდა ტფილისში რალაც საქმეზე და ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ ვის რად აკლია სიმონა. ემრიკოსა და მის დედასაც კი აღარ ახსოვთ იგი. ემრიკოს დედა ისე გაუტაცნია

ახალ სანახავს, რომ უხარია ქმრის შორს წასვლა. შინ რომ ყოფილიყო დაუშლიდა აქ წამოვლას.

— ენაცვალოს დედა, რა ლირსეულია ჩემი ემრიკო. გოგოებში როდი ერევა, სულ კაცებთან და სწავლულებთან აქვს საქმე, ის ინჟინერი როგორ ელაპარაკებოდა, ის მეორეც... ის მესამეც... ეს ჩვენი გაბრო ხო როგორ უყურებს. ყველა, ყველა დიდ პატივს სცემს, ჩემს ჭკვიან ქალს, ჩემს სიხარულს. — უხარია ემრიკოს დედას.

დაიძრა ხალხი წისქვილისაკენ... მექანიკოსმა აუშვა ბორბალი. ფართე ღვედებმა ტკაცუნით დაიწყეს ტრიალი, აარაბრახდა უშველებელი ქვები. გაალო პირი საყვირმა და... წისქვილმა მუშაობა დაიწყო. დაბზრიალდა, დატრიალდა და წამოთოვა ყირმიზა ფქვილი. შეაჩერეს წისქვილი, გამოვიდნენ ყველანი გარედ და ეხლა შემოეხვივნენ წისქვილს ქვემოთ. დულაბის კიბესთან მობმულ მწვანეთ შელებილ მატორიან გადახურულ ნავს. რომლის საშუალებით მდინარის გაყოლებაზე მდებარე სოფლებს უნდა გადასცემოდა საფქვავი. ახლა აქ მოიყარა ხალხმა თავი. ნავი პირველად უნდა გაესინჯათ. ჩავიდა ნავში მენავე. აქაც მექანიკოსი იყო საჭირო. მექანიკოსის მოვალეობას ასრულებდა ახალგაზრდა გაბრო, გიჟუას ბიჭი...

ჩავიდნენ ნავში თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი, ორი კომკავშირელი და ორიც გლეხი...

— წამოდი, ამხანაგო ემრიკო. — გადმოსძახა გაბრომ.

ქალს გაელიმა, სახე აუჟუჟუნდა და უარით გაიქნია თავი.

— მშიშარა ყოფილხარ, ამხანაგო.

— მშიშარა? ვინ არის მშიშარა? მოვდივარ.

დაეშვა ქალი კიბეზე. ვერ მოასწრო, იკივლა პატარა წყალმავალმა.

— ტუ, ტუ, ტუუ, ტუუუუ. — აშიშინდა მატორი. ტყლაშუნით შეანძრია წყალი და გასრიალდა. ნავი მიდის ხალხი მისდევს — ნაპირ-ნაპირ. ტაშს უკრავს, ქუდებს უქნევს, ჰყვირის.

მაგრამ ნავში რალაც ჭრიჭინი გაისმა. ყველას შეეშინდა. ძირს დაიხედეს. გაფითრდნენ... ქვედა ფიცარი გასკდომია ნავს. წყალი შადრევანივით აწვება ქვემოდან ზევით...

— დავილუპეთ, ბიჭებო. — დაიძახა თავმჯდომარემ.

— არიქა, გაბრო ნაპირისაკენ.

გაბრომ მოსწია მატორი ნაპირისაკენ. თითქოს შეატრიალაო ნავი.

— გაიხადეთ ტანზე საჩქაროდ. დაიძახა გაბრომ. ვინც იცით ცურვა თავს უშველეთ...

— საგდებელი, საგდებელი, — ყვირიან ნაპირიდან...

— შორს არის ვერ მიუწევს.

— მარჯვეთ იყავით, მე გავიტან თოკს ნაპირას — დაიძახა გაბრომ და გადაეშვა წყალში. მიცურავს, მიაპობს ტალღებს, ამოჰყოფავი. მიუახლოვდა ნაპირს.

— ოჰ, ოჰ. დაიგუგუნა სიხარულით ხალხმა.

ზედ ნაპირთან გაბრო წაედვა რაღაცას. გადატრიალდა და წავიდა თავდაყირა...

— ბიჭებო, — დაიყვირა ვილაცამ ნაპირზე...

— რას უყურებთ, მიეშველეთ...

ეს მამუკაა. მოხუცი მამუკა...

მაგრამ ვერავინ ბედავს შეებას ჩქარ წყალს. მისი ოინები იციან.

— შეგირცხვეთ თავი. — დაიძახა კვლავ მამუკამ და დაჰყარა ტანთსაცმელი...

— მოიცათ?

ეს ვინ არის?.. ახალგაზრდა ქალმა სწრაფად გადიგდო ყაწიმი ბეჭებიდან. არავის დაუნახავს, როგორ გაიხადა ტანთსაცმელი.

— არ გაუშვათ...

— დაიღუპება...

— სირცხვილია...

— ვაჟკაცების შერცხვენაა...

ქალი უკვე მისცურავს. ვაჟურად იქნევს ხელებს. მხარულით სჭრის წყალს.

ამის მნახველი ახალგაზრდობა ერთბაშად მდინარეში გადაეშვა. ნაწილი გაბროს მისდევს. ნაწილი ნავს ეჭიდება. გაითრიეს ნაპირზე. გადარჩა ნავი.

გაბრო კი არსად სჩანს. მის საშველად გადავარდნილ ქალსაც ვერ დაეწივნენ მდევრები.

ერთი ამოკრა ტალღამ, წყლის ზედაპირზე შავი თმები გამოჩნდა და ისევ ჩაიძირა...

ემრიკომ დაიყვინთა.

— დაიღუპა...

ყვირის ხალხი.

ისევ ამოჰყო ემრიკომ თავი. გაიბერტყა სოველი თმები. შემობრუნდა ნაპირისკენ. ერთი შედგა შეისუნთქა და გამოსწია...

— დაიჭირა, მოჰყავს...

— მიშველეთ... არიქა...

კიდევ გადაცვინდა წყალში ხალხი.

მიუახლოვდნენ, მიეგებნენ...

— ცოცხალია, ამხანაგებო, ფრთხილად. მე კი დავიღალე მეც მომეშველეთ. — და წაავლო ხელი ერთს-ორს ახალგაზრდას.

გაბრო ნაპირს მოიყვანეს...

— არ დასდოთ ძირს, არ დასდოთ ძირს. — ყვირის კიდევ მამუკა. ასწიეს მაღლა და თავი ძირს აქნევინეს.

რამდენიმე წუთს ეკიდა გაბრო თავდალმა, პირიდან წყალს აქცევდა. ცხვირის ნესტოები დაებერა, თვალებში სისხლი მოაწვა. დაეცალა მუცელი წყლისაგან... დააწვინეს... მერე შეუდგენ ზელვას და მოაცოცხლეს.

ნაშუადამევს გაბრო კომკავშირელებმა მოიტანეს სოფელში...

ხალხს წინ მოუძღოდა ქალი თმა გაწეწილი და შეშლილივით იცქირებოდა.

— ჩემი ემრიკო, ჩემი ქალი. დამეხრჩო, დამეხრჩო, გეთაყვა...

— დედა, აქა ვარ შენი ემრიკო, გონს მოდი... მე კი არა ამხანაგი გაბრო ილუპებოდა და გადავარჩინეთ... — ეუბნება მას ემრიკო, რომელიც კომკავშირელებს შორის იდგა, სახეზე ბედნიერების მზე უთამაშებდა. მისმა ნათელმა დედასაც სახე შეუცვალა და ჭკუაზე მოიყვანა.

———— : ————

მიხ. კახიანი

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები *)

პირველ ყოვლისა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. პარტიის მე-6 ყრილობაზე ჩვენ წამოვაყენეთ ლოზუნგი — 3 წლის განმავლობაში მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში. ვფიქრობთ, რომ ამ ამოცანის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთი ამხანაგი ამას ეჭვის თვალით უყურებდა. გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ამოცანა წარმატებით სრულდება. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სამწლიანი გეგმის მიხედვით, ჩვენ მიმდინარე წელს სალიკვიდაციო სკოლებში უნდა გაგვეტარებია და ინდივიდუალურად და ჯგუფურად წერა-კითხვა შეგვესწავლებია 175 ათასი კაცისათვის, ვახერხებთ 220 ათასი კაცის სწავლებას. ეს მოწმობს, რომ არა თუ სამ წელიწადში, არამედ ორი წლის განმავლობაშიაც კი შესაძლებელია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში.

გეგმის მიხედვით, ოზურგეთის მაზრას უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა დაემთავრებია მიმდინარე წელსვე; იქ მოეწყო 258 სალიკვიდაციო პუნქტი, ე. ი. ყოველ სოფელზე ერთი სალიკვიდაც. პუნქტი მოდის. ხელმძღვანელად არის 347 კაცი, მათ შორის 322 უფასოდ მუშაობს. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ ყველა ორგანიზაციები არ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა. კომკავშირმა თავდაპირველად აიღო დიდი ტემპი, დაგვპირდა ყველა დავალების შესრულებას. მაგრამ შემდეგში ეს ტემპი შენელდა. თავისთავად ცხადია, რომ აღებული ტემპის განხორციელებისათვის ორგანიზაციებმა უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი.

რაც შეეხება პროფორგანიზაციებს, მთელ რიგ პროფორგანოებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს არ აქცევდნენ

*) ამოღებულია ამხ. მიხ. კახიანის, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მესამე პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებიდან.

სათანადო ყურადღებას. მაგალითად, როცა მივიდნენ რიონჰესზე და ადმინისტრაციას უთხრეს — მოგვეცით შენობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტისათვისო, ადმინისტრაციის წარმომაგდენელმა უპასუხა, რომ არა აქვს შენობა, რომ ეს მისი საქმე არ არის და რომ საერთოდ რა საჭიროა, არავითარი პროფესორები მათგან (ე. ი. მუშებისგან) არ გამოვლენო. ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია.

ახალციხის მაზრაში იყო ასეთი შემთხვევა, მიიღეს ანბანი და სხვა სასწავლო სახელმძღვანელოები, მაგრამ სამაზრო პოლიტგანის გამგემ შეინახა ყველაფერი ეს შკაფში, ხოლო თვითონ ბაქოში წავიდა. ერთი თვის შემდეგ შკაფიდან გამოიღეს სახელმძღვანელოები და შეუდგენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ასეთი გულგრილობა და დაუდევრობა მუშაობაში დაუშვებელია. ვიდრე მოვახდენდეთ სხვების უცოდინარობის ლიკვიდაციას, უნდა მოვსპოთ საკუთარი ჩვენი უკულტურობა. მიუხედავად ამისა, ეს ცნობები და აღებული ტემპი მოწმობს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას, ჩვენ ამ სფეროშიაც გვაქვს ზოგიერთი მიღწევა. ეს მიღწევები გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, მოხდა საბიუჯეტო ასიგნობების გადაჯგუფება და მათი გადაცემა ეროვნულ-საგანმანათლებლო საჭიროებათათვის, გამოიცა პერიოდული ლიტერატურა და სხვა. საქართველოში პირველად გამოვეცით გაზეთი აისორულ და ლაზურ ენებზე. ლაზურ ენაზე გაზეთი გამოდის აფხაზეთში, და ეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის ძირითად ნაკლს შეადგენს ის, რომ ზოგიერთ რაიონს, განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთს, არ ეძლევა საკმაო ფინანსიურ-სამეურნეო დახმარება. შემჩნეულია აგრეთვე პარტიის კლასობრივი ხაზის დამახინჯება, მოსახლეობის ყველა ფენებზე დაყრდნობის ცდა, ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის არა საკმაოდ შეფასება. ადგილობრივი პარტორგანიზაციები მტკიცედ არ ანხორციელებენ მკაფიო ინტერნაციონალურ პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების აღზრდის საქმეში სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის მიღება პარტიასა და კომკავშირში.

ც. კ-ის პრეზიდიუმში დაისვა საკითხი ბლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ მეგრულ ენაზე. ჩვენ დავადგინეთ — დავრთოთ გაზეთის გამოცემის ნება. ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა. ამ საკითხს მე შევეხე იმიტომ, რომ ზოგიერთი ამხანაგი ამის შესახებ ირონიით ლაპარაკობს და ფიქრობს, რომ ეს არის არა პროგრესიული არამედ, თუ გნებავთ, რეგრესიული მოვლენა. ზოგიერთები იქამდისაც მიდიან, რომ ამას თითქმის რეაქციად სთვლიან. მე გადაჭრით უნდა უარვყო ასეთი თვალსაზრისი. თუ რომელიმე საბჭოთა ქვეყანაში არის მოსახლეობის ჯგუფი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, საჭიროა მიეცეს მას სრული შესაძლებლობა მშობლიურ, მისთვის გასაგებ ენაზე ეზიაროს ჩვენს კოლმეურნეობრივ მოძრაობას, ჩვენი მრეწველობის განვითარებას და მთელ ჩვენს აღმშენებლობას, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ყოველი ბოლშევიკისათვის, ყოველი ლენინელისათვის. ვფიქრობთ, რომ ეს სრულიად უდავოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აი რატომ დართო ც. კ-მა ნება გაზეთის გამოცემისა მეგრულ ენაზე.

ამას წინად საუბარი მქონდა აკადემიკოს ამხ. მართან და უნდა ვსთქვა, რომ მისი თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ჩვენსას (მისი აზრით, ერი ჩვენს დროში მთლიანად იცვლის თავის შინაარსს, თავის სახეს). მარი ამბობს, რომ თუ ასეთ ერს საშუალებას მივცემთ იმუშაოს თავის მშობლიურ კილოკავზე, ამით უფრო მეტად გავავრცელებთ ჩვენს სოციალისტურ კულტურას მათ შორის. ამ წემთხვევაში ჩვენი ამხანაგების მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ იმისთვის, რომ მეგრელთა მასებს მშობლიურ და მათთვის გასაგებ ენაზე გავაცნოთ მთელი ჩვენი საბჭოთა საქართველოს მშენებლობის საქმე. ვფიქრობ, რაც უფრო ჩქარა განხორციელდება ეს, მით უკეთესი იქნება, ბოლო უნდა მოელოს ისეთ განწყობილებას, რომელიც ამის წინააღმდეგია და სასაცილოდ იგდებს ანბანის, სახელმძღვანელოების, ცირკულიარების და სხვა დადგენილებების გამოცემას მეგრულ ენაზე. განა ცუდია ის, რომ ზუგდიდის მაზრაში ამხანაგებმა შესძლეს ბლეხურ მეურნეობათა 22 პროცენტის კოლექტივიზაცია? განა მეგრული ენის გავრცელებამ ხელი შეუშალა ამას?

ახლა კადრების შესახებ. კადრების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბუმბერაზული განვითარების პირობებში. ამხ. სტალინი წერილში „დიადი გარდატეხის წელი“ სწერდა, რომ „მძიმე მრეწველობის მშენებლობის პრობლემა არ შეიძლება მთლიანად გადაჭრილად ჩაითვალოს, იმ დრომდე, ვიდრე გადაჭრილი არ იქნება კადრების პრობლემა.

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა — პირისპირ მიუდგეს კადრების პრობლემას და აუცილებლად დაიპყროს ეს ციხე-სიმაგრე".

დავიპყარით თუ არა ეს ციხე-სიმაგრე საქართველოში? სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერა. ვიწყებთ თუ არა ამ ციხე-სიმაგრის დაპყრობას? ვიწყებთ, მაგრამ ნელა, მეტად ზანტად. ყველა ჩვენი ორგანოები, როგორც სამეურნეო, ისე განათლების სახალხო კომისარიატის და სხვა ორგანოები მეტად ნელა ამოძრავდნენ. ამაში, რა თქმა უნდა, ჩვენს პარტ-ორგანიზაციებსაც მიუძღვის ბრალი, როდესაც პირველად ხდებოდა კადრების საჭირო რაოდენობის გეგმის დამუშავება. სამეურნეო მუშაკებს ვეკითხებოდით, ზოგიერთმა სამეურნეო მუშაკმა პირდაპირ სასაცილო გეგმები წარმოგვიდგინეს, თითქოს მათ ხუთწლედის დამლევისათვის სულ რაღაც ორი-სამი ინჟენერი დასჭირდებოდათ, ამას საკვლევით სერიოზულად სწერდნენ. ამით მათ დაამტკიცეს, რომ სრულებით არ იცნობდნენ თავიანთ საქმეს. როგორ შეიძლება ამგვარად მოპყრობა ასეთ მნიშვნელოვან საქმისადმი? მას შემდეგ, რაც ჩვენ არა ერთხელ მოვიწვიეთ ისინი ცენტრალურ კომიტეტშიაც და სახელმწიფო საგეგმო კომისიაშიაც, ზოგიერთ შედეგს მივაღწიეთ, ამ ჟამად, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საჭირო კადრების ციფრები და იმის ციფრები, თუ რის მოცემა შეუძლიათ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს და ტექნიკუმებს. მრეწველობის ხაზით ჩვენ გვჭირდება 2.209 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და — 4.327 კაცი საშუალო ტექნიკური განათლებით. საშუალო ტექნიკური განათლების სპეციალისტებზე ჩვენ გვექნება ასეთი დეფიციტი — დაგვაკლდება 2.300 კაცი, ხოლო მოთხოვნილება ინჟენერზე დაკმაყოფილებული იქნება. სოფლის მეურნეობის ხაზით დაგვჭირდება. 3.000 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და 7.500 — საშუალო განათლებით. ვინაიდან ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შევსძლებთ, ასეთი დეფიციტი გვექნება: დაგვაკლდება 1.600 კაცი უმაღლესი განათლებით და 6.000 კაცი საშუალო განათლებით. დიდი დეფიციტი გვექნება აგრეთვე უმაღლესი განათლების პედაგოგებზე — 1.145, საშუალო განათლების პედაგოგებზე — 1.150, უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტებზე — 663 კაცი, საშუალო განათლების ეკონომისტებზე — 745. ამ დეფიციტს ადგილი ექნება, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებლებში მივიღეთ დაახლოებით 2.000 კაცი, ხოლო ტექნიკუმებში — 2.347 და, გარდა ამისა, სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გავგზავნეთ — 2.347 კაცი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გა-

დაწყვეტილების შესასრულებლად ხდება უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო გეგმის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების შესრულება, რომელიც ეხება გამომუშავების ვადის შემცირებას. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მიმდინარე წელს გამოშვებული იქნება 208 ინჟენერი, გათვალისწინებული კი იყო 70 ინჟენერის გამოშვება.

ახლა საქართველოში სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი უკვე გადავიდა 4 წლის სწავლაზე. აგრონომიული ფაკულტეტი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად, რომელიც მიწათმოქმედების სასახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა. ამავე მიზნით უნდა დაჩქარდეს ჩვენი სამხატვრო აკადემიის გადაკეთება უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად — მშენებელ ინჟენერთა მოსამზადებლად.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების გამუშურებას, სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარე წელს მიღებული — 700 კაციდან 55 პროცენტს მუშები და მუშების შვილები შეადგენენ, სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული 628 კაციდან მუშების შვილები შეადგენენ მხოლოდ 25 პროცენტს, რაც უთუოდ დაბალ ციფრად უნდა ჩაითვალოს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღებული 500 კაციდან მუშები და მუშების შვილები მხოლოდ 21 პროცენტს შეადგენენ. ესეც ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შეუსრულებლობაა. უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შემდგომი გამუშურებისათვის ეწყობა მუშების მოსამზადებლად კურსები 200 კაცისათვის, იხსნება ახალი ტექნიკუმები თბილისსა და ჭიათურაში, ფართოვდება მუშფაკები ქუთაისსა და ჭიათურაში. გარდა ამისა, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური ხასიათის რამდენიმე ათი სპეციალური ტექნიკუმი. ეს ხდება ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შესასრულებლად. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ სასწავლებელთა სისტემის ოეორგანიზაცია მთელ საქართველოში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სამეურნეო მუშაკები ჯერ კიდევ დაინტერესებული არ არიან კადრების მომზადების საკითხით და ძალიან სუსტად არიან დაკავშირებულნი უმაღლეს სასწავლებლებთან. ამიტომაც ამ საქმეში საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა, ვინაიდან კადრების გრეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ სამრეწველო მშენებლობისა და კოლექტივიზაციის ასეთი

უნახავი ტემპების განხორციელებას. ამიტომაც ყველა პარტორგანიზაციების წინაშე პირდაპირ უნდა დაისვას ის საკითხი, რომ აუცილებლად დავიპყროთ ეს ციხე-სიმაგრე.

როგორი მდგომარეობაა ლიტერატურის ფრონტზე ინტელიგენციის შორის? ამას წინად მოხდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი, სადაც გამოაშკარავდა, რომ მწერლების ნაწილი გვიახლოვდება, მოიწევს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ესენი არიან ეგრეთწოდებული „მემარცხენე ფრონტელები", რომლებიც დეკლარაციით გამოვიდნენ, რისთვისაც ძველი მწერლების ზიზღი დაიმსახურეს. მაგრამ ხდება ფენებად დაყოფა ძველი ჯგუფის მწერალთა შორისაც და ამ ჯგუფის შემდგომი გამემარჯვენება. ამგვარ განწყობილებათა გამომხატველია ერთი რეაქციონერი მწერალი, რომელიც მუდამ ჩვენს კარებს აკაკუნებს და გვარწმუნებს, რომ იგი ას პროცენტიანი საბჭოთა კაცია. ეს გახლავთ კ. გამსახურდია მასზე არც კი ღირს ლაპარაკი, მაგრამ იგი ბევრი „ყოფილი" ადამიანის აზრის გამომხატველია. ეს ძველი აზნაურულ-ფეოდალური საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელია, რომელიც დღემდის დაყიალობს საქართველოში და ამბობს ისეთ სიტყვებს, როგორიც მან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმზე წარმოსთქვა. მან მიმართა კომუნისტებს და განაცხადა: „საქართველოში თქვენ ყველაფერი ჩამოართვით თავადებს და აზნაურებს. ისინი ამჟამად საბრალო წოდებას წარმოადგენენ. დიახ, ეს ასეა! რაღა საჭიროა ახლა თქვენს წინაშე წაქცეულის ცემა"-ო.

აი, ამხანაგებო,, ეს დამახასიათებელია. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ამბობს, რომ საჭიროა ამ უბოროტესი მტრის, კულაკობისა და აზნაურობის, საბოლოოდ განადგურება, გამსახურდია კი გამოდის და ამბობს: „ეს საბრალო წოდებაა, რად უნდა დავლუპოთ, პირიქით უნდა მოვეფეროთ და არა ვცემოთ და საბრალოდ ჩავკლათ"-ო. მისი აზრით, ბურჟუაზია, როგორც კლასი, საქართველოში არ არსებობს. „სადა გვყავს ჩვენ ბურჟუაზია, თუ გვყავდა ერთნახევარი სპეკულიანტი, თქვენ მათ ჩამოართვით ქონება და მათი სახლები მუშათა სასახლეებად და ხელოვნების სასახლეებად აქციეთ"-ო.

აი ასე გადასწყვიტა მან მთელი საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოში არ არის არც ბურჟუაზია, არც კულაკობა. ამას ამბობს ის კაცი, რომელიც საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრია. რაღა სცხია მას საბჭოებისა? განა დრო არ არის დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი საბჭოთა მწერლების რიგები განთავისუფლდნენ

ასეთი „საბჭოთა მწერლებისაგან?. თუ ამჟამად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლაა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, იდეოლოგიის სფეროშიაც უნდა გაძლიერდეს ეს ბრძოლა. აქ ჩვენ ოდნავადაც არ უნდა დავსთმოთ ჩვენი პოზიცია. დროა შევწყვიტოთ ერთგვარი შემარიგებელი მოპყრობა ასეთი მოვლენებისადმი!

გადავალ ინტელიგენციაზე, შევეხები ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვახდინეთ უნივერსიტეტის კომუნიზაცია და ძირითად გარდატეხასაც მივაღწიეთ, — დღემდე ამ ციხე-სიმაგრეს მთლიანად ვერ დავეპატრონეთ.

საილუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგ ფაქტებს. დღემდე იქ მემარჯვენე პროფესურას, ყოფილი რექტორის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ერთგვარი გავლენა აქვს. პროფესურის ეს ნაწილი იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ, მისი ავტონომიისათვის, მისი აკადემიზმისათვის და მეტად მტრულად უცქერის „აკადემიური ტრადიციების“ დარღვევას. პროფესურის ეს ნაწილი იქამდე მიდის, რომ ბოიკოტსაც კი უცხადებს იმ პროფესორებს, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებიან და რომელთაც სურთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა. ასე. ერთი პროფესორი ამბობს: „საერთოდ, არც განათლების სახალხო კომისარიატს, არც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას არ ესმით, როგორ უნდა სწარმოებდეს უნივერსიტეტის მშენებლობა, როგორც უნივერსიტეტი, თითქმის არა გვაქვს და იგი თითქმის ხელახლა უნდა შეიქმნას“.

ამგვარი პროფესორების სახით ჩვენ აშკარა კლასობრივი მტრები გვყვანან. ყოველ კომუნისტს, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰორიზონტზე გამოჩნდება, ისინი სდევნიან, თავს ესხმიან და ამბობენ, რომ „მან მართებულად არ დასწერა, რაღაც მოიპარა, ეს აშკარა პლაგიატია“ და სხვა. ამას სჩადიან იმიტომ, რომ გამოიწვიონ უნდობლობა ჩვენი კომუნისტური კადრებისადმი, ახალი საბჭოთა ძალებისადმი.

ბოლო დროს მოწმენი ვიყავით ჩვენი მემარჯვენე პროფესურის მხრით დევნის ასეთი ფაქტების და ამას ისინი „მეცნიერულადაც“ კი ასაბუთებდნენ. ასე, მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი ასისტენტი აცხადებს: „კომუნისტი თავისი ბუნებით არ შეიძლება იყოს სამეცნიერო მუშაკი, კომუნისტობა ნიშნავს გონების სიჩლუნგეს“. მართლაც, პირველხარისხოვანი გონება-ჩლუნგი უნდა იყოს, კაცი, რომ ასეთი რამ წარმოსთქვას ახლა კომუნისტებზე.

აი რას ამბობს მეორე ასისტენტი სტუდენტებთან საუბარში: „რა საჭიროა ტვინის შესწავლა და ამ საგნის ჩაბარება, როდესაც სა-

ხელმწიფოს მართავენ ადამიანები, რომელთაც ტვინი სრულებით არ გააჩნიათ".

მე მგონია, ასეთი პროფესორების არსებობა არავითარ გარანტიას არ გვაძლევს, რომ ჩვენ კადრებს მოვამზადებთ. პირიქით, ისინი გარყვნიან და არა აღზრდიან ჩვენ ახალგაზრდობას. აი რატომ უნდა ჩავთვალოთ სამარცხვინოდ ჩვენთვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მე-9 წელს ჩვენ კიდევ გვყვანან ასეთი პროფესორები. ჩვენ ორგანოებს და ჩვენს უჯრედებს უნდა დაევალოთ, ნაცვლად ადმინისტრატიული საქმეების გაძღოლისა, ხელი მოჰკიდონ თვით სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პირობებისა და ატმოსფერის გაჯანსაღებას, იდეოლოგიური ბრძოლის მოგვარებას. იმგვარი რეაქციონერები, რომლებიც ამბობენ, რომ კომუნისტები გონება-ჩლუნგი და უტვინო ხალხიაო, გაძევებულ უნდა იქნან უნივერსიტეტიდან, განიდევნონ იქიდან და შეიცვალონ მცოდნე, მაგრამ საბჭოთა ხალხით. მე მგონია, ასეთი შესაძლებლობა ჩვენ მოგვეპოვება.

გარდა ამისა, უნდა ვთქვა, რომ არც სხვა დაწესებულებებშია საქმე მთლად კარგად. აიღეთ სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი. იქ გვყვანან შოვინისტურად და რეაქციონურად განწყობილი პროფესორები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ რეორგანიზაციას. კონსერვატორიაში მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არა სურთ „ინტერნაციონალი"-ს დაკვრა, მაგრამ სიამოვნებით უკრავენ იმ ჰიმნს, რომელიც მენშევიკურ საქართველოს უგალობს. ჩვენ გვყვანან შოვენისტური, ანტისაბჭოთა და სპეკულიანტური ელემენტები იურისტებს შორის, რომლებსაც ახლახან სწმენდენ. აქ საჭიროა ბოლშევიკური ცოცხით ჩაცლა და გადამწყვეტი წეტევა. ამ ფრონტზე არავითარ შემარიგებლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ სრულიად თავისუფლად გავუძღვებით უმაღლესი სკოლის ამოცანებს ამგვარი პროფესორების, იურისტების და ექიმების გარეშეც, ჩვენი საკუთარი კომუნისტური საბჭოთა ახალგაზრდა კადრებით უნდა ნამდვილად მივაღწიოთ იმას, რომ დავიპყროთ ისეთი სიმაგრეები, როგორიც არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი და აგრონომიული ინსტიტუტი. ეს წარმოადგენს უახლოესი დროის ამოცანას და ამას ხელი უნდა მოჰკიდოს პარტიულმა ორგანიზაციებმა.

——:——

კოლექტივიზაცია და მწერლობა

ჩვენ მივადექით იმ ზღრუბელს, რომლის შემდეგ იწყება ახალი ისტორია. ის მედგარი წეტევა საუკუნოებით განმტკიცებულ ტრადიციულ ფორმების წინააღმდეგ, ის ძირეული გარდატეხა, სამეურნეო ურთიერთობასა და ყოფა-ცხოვრებაში, რომელსაც ჩვენ ეხლა ვამჩნევთ სოფლად და ქალაქად, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ საბჭოთა საზოგადოებისა და კერძოთ მხატვრულ ლიტერატურისაგან. ისეთი ფაქტები, როგორც არის კოლმეურნეობათა სწრაფი მშენებლობა, მთელი რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა, გიგანტური აგრო-ინდუსტრიალური კომბინატების დაფუძნება, სამანქანო-სატრაქტორო კოლონების მოწყობა და მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც სავსებით სცვლიან ჩვენი პატრიარქალური სოფლის ფიზიანომიას, არ შეიძლება დარჩეს მწერალთა და ლიტერატურის მუშაკთა ყურადღების გარეშე. უკვე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მწერლობა აქტიურად და პრაქტიკულად ჩაებას ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. უკვე ლაპარაკია არა იმის შესახებ, რომ ლიტერატურა იძლეოდეს სოფლისათვის, მუშებისათვის, გლეხური მასებისათვის გასაგებსა და მისაწვდომ მხატვრულ პროდუქციას. არა, ეხლა საკითხი შეეხება თვით ლიტერატურულ თემატიკას, რომელმაც უნდა მოგვცეს ცოცხალი, რეალური და მხატვრული სურათი იმ სოციალურ ძალთა გადაჯგუფებისა და იმ ახალ საწარმოო ყოფა-ცხოვრებითი ფორმებისა, რომელიც ისახება და ვითარდება დღევანდელ სოფელში.

როგორ შეუძლია თანამედროვე ქართველ მწერალს ასახოს და მხატვრულად გადმოგვცეს ეს სურათი?

მწერალი დღეს უმეტეს შემთხვევაში ძალიან ცუდათ იცნობს ჩვენი სოფლის ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, რომ გადასულ თაობათა მწერლები გაცილებით უკეთ იცნობდენ ჩვენი სოფლის ჭირვარამს, ვიდრე თანამედროვე ოსტატები. ძველი მწერლები, — სულ ერთია, არისტოკრატიულ-ფეოდალურ წრიდან გამოდიოდენ ისინი, თუ

გლეხის ქოხებიდან, — ასე თუ ისე, ეკონომიურად მაინც მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებული სოფელთან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მე-19 ს. ქართულ ლიტერატურაში ასე ყოველ-მხრივ და ამომწურავად არის მოცემული ჩვენი სოფლის ვითარება, მისი ავან-ჩავანი, ადათები, ზნე-ჩვეულება, ჩამორჩენილობა და ბოლოს კლასობრივი დიფერენციაცია. დაწყებული გიორგი ერისთავიდან და გათავებული ეგნატე ნინოშვილით, ქართული ლიტერატურა იძლევა ქართული სოფლის სოციალ-ეკონომიური ტრანსფორმაციის მხატვრულ სურათს თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ჭონქაძე, ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ლომაური, სოფრ. მგალობლიშვილი, რაფიელ-ერისთავი, გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვები თავის შემოქმედების თემატიურ მასალათ უმეტეს წემთხვევაში იყენებდენ ჩვენი სოფლის ცხოვრებას.

თანამედროვე ქართველმა მწერალმა უკვე გასწყვიტა კავშირი სოფელთან.

რევოლუციის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურულ და წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას გამოეცალა ის ეკონომიური ბაზისი, რომელიც მას სოფელთან აკავშირებდა — ეს იყო მიწა, წვრილი მიწათ-მფლობელობა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გასაბჭოების შემდეგ პერიოდზე. ქართველი მწერლების უმთავრესი მასა კი გამოსული იყო ამ წვრილ მიწათ-მფლობელურ თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიულ ფენებიდან. ამგვარად თანამედროვე სოფლის ცხოვრებას მწერალი თან და თანობით დასცილდა, ჩვენი თანამედროვე სოფლის ვითარება უკვე გამოვიდა მისი მხედველობის არედან და მაშასადამე მისი თემატიკის სფეროდანაც.

ბევრ შემთხვევაში იგივე შეიძლება ითქვას იმ თაობის მწერლებზედაც, რომლებიც სალიტერატურო ასპარეზზე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გამოვიდენ. — მათ ვერ მოგვცეს მხატვრული ასახვა არა თუ საბჭოთა სოფლის, არამედ იმ საქარხნო-საფაბრიკო ცხოვრებისაც-კი, რომელთანაც ისინი თითქოს ძალიან ახლოს უნდა იდგნენ. „ქარხნის მილიდან ბოლი ამოდის“ ძველებურად წორიდან.

ასეა თუ ისე, ამ გარემოებას ბოლო უნდა მოეღოს, საჭიროა მწერლების დაახლოვება სამეურნეო აღმშენებლობასთან, წარმოებასთან, სოფელთან. კოლმეურნეობრივ მშენებლობის მოულოდნელ ტემპებთან დაკავშირებით უკვე პრაქტიკულად დაისვა საკითხი ლიტერატურის უაახლოესი ამოცანებისა და მეთოდების წესახებ — მიმდინარე მომენტში.

როგორც ვიცით, საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებით წარმოებიდან უნდა მოიხსნას 25 ათასი მუშა და გაიგზავნოს სოფლად სამუშაოდ. მუშათა ბრიგადების დანიშნულებას შეადგენს პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობების — დასაწყისს, საორგანიზაციო პერიოდის სამეურნეო და ტეხნიკურ დაბრკოლებათა დაძლევაში.

მსგავსად ამისა მოსკოვის და ლენინგრადის ლიტერატურულ ორგანიზაციებში დაისვა საკითხი მწერალთა ბრიგადების გაგზავნის შესახებ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში სამუშაოდ. ეს განზრახვა ნაწილობრივ უკვე შესულია პრაქტიკული განხორციელების სტადიაში.

რა დანიშნულება ექნება ამ მწერალთა ბრიგადებს? უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად მწერლები უნდა გაეცნონ არსებულ მდგომარეობას მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში, იმ ახალ სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებით ფორმებს, რომელიც ამჟამად ყალიბდება კოლმეურნეობებში და რომელიც სრულიად ახალი, უცნობი და უჩვეულო გზით წარმართავს მილიონიან გლეხურ მასების მომავალ ცხოვრებას. მწერლებმა უნდა აღწერონ და მხატვრულ ფორმებში ასახონ სურათი ახალი ცხოვრების ჩამოყალიბებისა.

საკითხს მწერლობის კოლმეურნეობრივ მშენებლობაში ჩაბმის შესახებ საქართველოში ჯერ-ჯეროობით მხოლოდ კომკავშირული პრესა წეეხო სერიოზულად. საერთოდ კი ეს საკითხი იმდენად მომწიფებულია, რომ ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი მისი პრაქტიკულად გადაჭრის შესახებ.

ამ საქმეში განსაკუთრებული ინიციატივა უნდა გამოიჩინოს უპირველეს ყოვლისა საბჭოთა მწერლების ფედერაციამ. მან ეს საკითხი უნდა დააყენოს სათანადო ორგანოებში, უნდა დააინტერესოს შესაფერი სამეურნეო ორგანიზაციები, როგორიც არის: საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი, სმუსი, საწარმოო კოოპერაცია, აგროინდუსტრიალურ კომბინატის დირექცია, ბამბის კომიტეტი, „საქართველოს — ჩაი“ და სხვები. ამ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა გაიღონ სათანადო მატერიალური საშუალებები საუკეთესო მწერლების გასაგზავნათ კოლმეურნეობებში და მათთვის საუკეთესო მატერიალური პირობების შესაქმნელად, რომ ამ მწერლებმა შესძლონ მათ მიერ დასახული ლიტერატურული ამოცანების წარმატებით შესრულება. საჭიროა მწერლების დაინტერესებაც — ამისათვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის პრემიების დაწესება საუკეთესო წიგნისათვის და მხატვრული ნაწარმოებისათვის, სადაც ასახული

იქნება ამა თუ იმ კოლმეურნეობის ან და საერთოდ თანამედროვე საბჭოთა სოფლის ცხოვრება, გარდა ამისა მწერლებს უნდა მიეცესთ სრული გარანტია მათი ნაწარმოების თავის დროზე გამოცემისა და სხვა.

დასასრულ საჭიროა ითქვას რამდენიმე სიტყვა მწერლის ლიტერატურული მუშაობის მეთოდების შესახებ კოლმეურნეობებში. ეს იმ შემთხვევისათვის, თუ მწერლების „კანტრაქტაციისა" და მივლინებების საკითხი დადებითად იქნა გადაჭრილი სათანადო სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა მერ.

უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებში მომუშავე მწერალი კარგათ უნდა ითვალისწინებდეს სარეკონსტრუქციო პერიოდის ამოცანებს, კოლმეურნეობათა მშენებლობის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ შინაარსს. გარდა ამისა იგი უნდა იცნობდეს ძირითად, ელემენტარულ საფუძველებს სოფლის მეურნეობის დარგში. ყველაზე სასურველია თუ მწერალი ორგანიულად ჩაებმება კოლმეურნეობათა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში და რამოდენიმე თვე მაინც დაჰყოფს შიგ, ამით იგი უფრო დეტალურად და ზედმიწევნით გაიცნობს „ახალ ადამიანთა ახალ ცხოვრებას". მწერალი ძვირფასს და პირდაპირ დაუფასებელ კულტურულ ძალას წარმოადგენს კოლმეურნეობისათვის. სათანადო ინიციატივის მქონე მწერალს დიდი კულტურული საქმიანობის გაჩაღება შეუძლია კოლმეურნეობაში: კლუბი, ბიბლიოთეკა, დრამატიული-წრე, რადიო, კედლის გაზეთი, პოპულიარული ლექციები, ექსკურსიები, წერა-კითხვის ლიკვიდაცია, და მრავალი სხვა. — აი ზოგადათ ის პრაქტიკული კულტურულ-განმანათლებელი საქმიანობა, რომლის ხელმძღვანელობაც შეუძლია მწერალს, ცხადია სათანადო კულტურულ ყოფა-ცხოვრების მომწყობ კომისიათა საშუალებით. პარალელურად მწერალი ეცნობა კოლმეურნეობათა შინაგან ვითარებას, ბრძოლას სამეურნეო სიძნელეებთან, ადამიანთა ხასიათებს, ფსიქიკას, ყოველდღიურ შრომას, ლხინსა და გასაჭირს.

უბის წიგნაკი, დღიური (ყოველდღე ფიქსაციით), ფაქტიურ-დოკუმენტალურ მასალების არქივი და ფოტო-აპარატი, — აი, ყველა ის „საწარმოო იარაღები", რომელიც საშუალებას მისცემს მწერალს შექმნას უაღრესად საინტერესო წიგნი „ახალი შრომისა და ახალი ცხოვრების" შესახებ.

—— : ——

სერგო ამაღლობელი

სოციალური შეკვეთის თეორია *)

ისტორია იცნობს ისტორიულ პიროვნებებსა და ისტორიულ ფრაზებს. პიროვნება ისტორიული ხდება ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას. ფრაზა ისტორიულათ იქცევა ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ის დიდ გაუგებრობასა და ცნებათა ალრევას ჰქმნის სამეცნიერო აზროვნების განვითარებაში. სოციალური შეკვეთის თეორია ასეთ ისტორიულ ფრაზათა კათეგორიას ეკუთვნის. მართალია, ის თეორიის სახელს ატარებს, მაგრამ მას არ გააჩნია თეორიის არც ერთი თვისება, მიუხედავათ მის დამცველთა მეცნიერული ავტორიტეტისა. ის არ წარმოადგენს აზროვნების გარკვეულ სისტემას. თვით ის გარემოება, რომ ფრაზა თეორიის სამოსელშია გახვეული ააშკარავებს მის კონტრაბანდულ ხასიათს.

მეცნიერული მსჯელობისათვის ტერმინოლოგიის სიმტკიცეა საჭირო. სოციალური შეკვეთის თეორიის დამცველთა ტერმინოლოგია არავითარ სიმტკიცეს არ შეიცავს. პატივცემული პ. ს. კოგანის მტკიცებით შეკვეთას ადგილი აქვს: როცა შემკვეთი არის, როცა შემკვეთი არ არის. შეკვეთა არის თუ ხელოვანი გრძნობს შეკვეთას, თუ მისი გონიერი სფერო შეკვეთაზე წეგნებულათ მუშაობს. შეკვეთასთან გვაქ საქმე მაშინაც, თუ ხელოვანი შეკვეთას ვერ გრძნობს. სად არის ასეთი მსჯელობის საფუძველი? მომხსენებლის აზრით შემოქმედების სოციალური ეკვივალენტის ცნებაში. ხელოვანი ყოველთვის მუშაობს, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, გარკვეული კლასის შეკვეთით აკმაყოფილებს მის სოციალურ მოთხოვნილებას. სოციალური შეკვეთის თეორიის ასეთი განმარტების შემდეგ ამ თეორიის მამამთავრათ შეგვიძლია ჩავთვალოთ არა „ლეფის“ თეორეტიკოსები, არამედ ჩვენთვის კარგათ ცნობილი კარლ მარქსი, რომელიც უფრო მკვეთრად გამოხატავდა აზრს: ჩემთვის იდეალურია ადამიანის თავში გადამუშა-

---

*) სტენოგრამა სიტყვის, რომელიც ავტორის მიერ იყო თქმული საკავ. ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის პლენუმზე აკადემიის პრეზიდენტის პ. ს. კოგანის მოხსენების ირგვლივ 1929 წ. 21/X.

ვებული მატერიალურია. თუ საკითხი ისე განიხილება, როგორც პატივ. პ. ს. კოგანი გვარწმუნებს ეს მხოლოდ იმას უდრის, რომ ადამიანის თავში შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რისი ფაქტორებიც არის მატერიალურ სამყაროში, როგორც ობიექტიური მსვლელობის პროცესში. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სოციალური შეკვეთის თეორიასთან, არამედ ხელოვნების სოციალურ განსაზღვრულობის თეორიასთან ე. ი. ხელოვნების მარქსისტულ სოციალოგიასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალური შეკვეთის თეორია ახალს არაფერს ამბობს.

დაუბრუნდეთ სოციალური შეკვეთის თეორიის ტერმინოლოგიის ანალიზს.

შეკვეთა ეკონომიური ცნებაა და არა მხატვრული. შეკვეთას ვხვდებით სამეურნეო ცხოვრების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ხელოვნურ წარმოებასა და მომხმარებელს შორის შუამავალი ვაჭარი ჯერ კიდევ არა სდგას. შემკვეთი უკარნახებს თავის ნება-სურვილს ხელოსანს. უკანასკნელი მუშაობს შემკვეთის ნების მიხედვით და ცდილობს თავისი დახელოვნების, ცოდნის გამოყენებას შემკვეთის გემოვნების დასაკმაყოფილებლად. შემკვეთი დაინტერესებულია ნივთი მიიღოს რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში, ხელოსანი სცდილობს თავისი შრომისა და მასალის რაც შეიძლება დიდ ფასებში გაყიდვას. აქ თავს იჩენს ეკონომიური კონკურენცია და ბაზრის კანონების ამოძრავება და სხ. და სხ.

უფლებრივი თვალსაზრისით შეკვეთა გარიგებაა, იურიდიული ურთიერთობაა. ამ ურთიერთობის ობიექტია: საგანი გარიგების; სუბიექტი: შემკვეთელი და ხელოსანი; უფლება და მოვალეობა: გარიგებაში შესულ სუბიექტთა ვალდებულებანი. აქედან აშკარაა, რომ შეკვეთის ცნება ეკონომიურ და უფლებრივ ბრუნვის ცნებაა და არა ხელოვნების მეტყველების.

შეიძლება თუ არა მისი მომარჯვება ხელოვნების დარგში? ამ კითხვაზე შეიძლება გარკვეული პასუხი: ჰო და არა. შეიძლება მაშინ, როცა ხელოვნების ნაწარმოები იქცევა საქონლათ, ყიდვა-გაყიდვის ობიექტად. შეიძლება მაშინ, როცა მხატვრული ფაქტი არსებობს სინამდვილეში, როგორც გარკვეული ეკონომიური ღირებულება (მაგ. სურათი ქანდაკება და სხ.). ან მაშინ, როცა ხელოვანი კონკრეტ შეკვეთას ასრულებს (მაგ. სურათის შესრულება შეკვეთით, შენობის აგება და სხ.) აქ საქმე გვაქვს რეალურ შეკვეთასთან. არ შეიძლება შეკვეთა თვით მხატვრულ შემოქმედების. შეკვეთით ვერ განისაზღვრება თვით შემოქმედების შინაგანი პროცესი და ხასიათი

მისი მხატვრული ბუნება. რეალური შეკვეთა შემოქმედების მხოლოთ საბაბია. თუ შემოქმედების შინაგანი ემოციონალური სამყარო, რომელიც განსაზღვრულია სოციალურ-ეკონომიური და მასზე აღმოცენებული ზედნაშენების გარემოთ, ეწინააღმდეგება შემკვეთის ნებას, შემოქმედება ჰქრება, რჩება მხოლოდ ხელოვანის ტეხნიკური ცოდნის მომარჯვება, რომელიც მხატვრულ ფაქტს ვერასოდეს ვერ შექმნის.

სოციალური შეკვეთის თეორეტიკოსები, მათ შორის პატივცემული პ. ს. კოგანიც შეკვეთის ორგვარ სახეს იღებენ მხედველობაში: შეკვეთა მოწინააღმდეგე კლასისა და საკუთარი კლასის ხელოვანის მიმართ. ორივე შეითხვევაში შეკვეთა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. თუ შეკვეთას ვაძლევთ მოწინააღმდეგე კლასის ხელოვანს, თუ ხელოვანის შინაგანი შესაძლეობა ვერ უპასუხებს შემკვეთი კლასის ფსიქო-იდეოლოგიურ მისწრაფებას, ხელოვანმა უნდა შეასრულოს შემოქმედებითი თვითმკვლელობა, მან უნდა უარყოს თავისი თავი როგორც ხელოვანმა, უნდა გახდეს ტეხნიკური ხერხებით მომუშავე ხელოსნათ, რომლისგანაც ჩვენ მივიღებთ არა მხატვრულ ფაქტს, არამედ მის სუროგატს. თუ შეკვეთას აძლევს კლასი თავისივე ხელოვანს, მაშინ საქმე გვაქვს თვითშეკვეთასთან, რაც ლოლიკურ აბსურდს უდრის. შეკვეთა, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს იგი მოცემული, ორმხირვი აქტია. როგორც არ დაიდება ხელშეკრულება საკუთარ თავთან, ისე არ შეიძლება საკუთარი თავის მიმართ შეკვეთის წაყენება. მომხსენებელი აღნიშნავდა ტოლსტოისა და ანდრეევის მიერ საკუთარი თავის მიმართ შეკვეთის წაყენებას. ეს გადაჭარბებული ამბავია. ეს არის ფაქტების მიდენა თეორიასთან, რადგან თეორია ველარ მიდის ფაქტებთან. ავტორის მიერ თემის დასახვა არ უდრის თვითშეკვეთას. მე გამოვედი თქვენს წინაშე, რომ გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება. აქ არის ლაპარაკი გარკვეულ თემაზე გარკვეული მიზნით. შეიძლება ჩემი საქციელის განხილვა ისეთ კონტექსტში, რომ მე ჩემს თავს მივეცი შეკვეთა აქ სიტყვის თქმის? ვფიქრობ რომ არა. მიზნის დასახვა, თემის დამუშავება, გარკვეული იდეის დაცვა, ან გამოხატვა მხატვრულ ფორმაში არ უდრის თვითშეკვეთას.

სოციალური შეკვეთის თეორია ვერ უძლებს კრიტიკას მარქსისტული მეთოდოლოგიის მხრით. მარქსიზმი ობიექტივიზმს მოიმარჯვებს თავის კვლევის დროს. მოგეხსენებათ მარქსი „კაპიტალს“ საქონლის ანალიზით იწყებს და არა მომხმარებლის სარგებლიანობის ცნებით. ეკონომიურ მეცნიერებაში, როცა ვშორდებით ობიექტიურ მომენტს და მომხმარებლის თვალსაზრისზე ვდგებით, მივდივართ

ავსტრიულ-ფსიქოლოგიურ სკოლასთან, ვშორდებით მარქსისტულს პოლიტიკურ ეკონომიას. ასეთივე მდგომარეობაა სამართლის დარგში. მარქსისტი იურისტი, როდესაც სწავლობს უფლებრივ ინსტიტუტებს, ის იღებს არა ადამიანის უფლებრივ გრძნობებსა და მის სუბიექტიურ სამყაროს, არამედ ობიექტიურად მოცემულ ინსტიტუტებს, რომლის სოციალოგიური ანალიზი გვაძლევს მათ სოციალურ ეკვივალენტს. ფილოსოფიაში მარქსისტულ აზროვნებას ასეთივე ობიექტიური მეთოდი აქვს. ხელოვნების მეტყველობაშიაც მარქსისტის კვლევა მოითხოვს არა ამთვისებლის თვალსაზრისზე დგომას, არამედ მოცემული მხატვრული ფაქტის ობიექტიურ ანალიზს, რომელიც გახსნის მის სოციალურ საფუძველს.

სოციალური შეკვეთის თეორიის დამცველნი გამოდიან შემკვეთის თვალსაზრისიდან. ისინი სტოვებენ მარქსისტულ ობიექტიურ მეთოდს და თავის მსჯელობაში უახლოვდებიან არა მარქს, არამედ ბ ე ნ-ბ ა ვ ე რ კ ს. კიდევ მეტი: თუ მოწინააღმდეგე კლასის ხელოვანს შეუძლია პროლეტარიატის სამსახური მისი შეკვეთის მხატვრული შესრულება, მაშინ ჩვენ მივდივართ ინდეტერმინიზმის პრინციპთან და ვალიარებთ ნების თავისუფლებას. პროლეტარიატი იძლევა შეკვეთას, პროლეტარიატთან მტრულათ განწყობილი მხატვარი, ხელოვანი ასრულებს ამ შეკვეთას. სჩანს პიროვნება ყოფილა გამგე და მბრძანებელი თავისი ნების, შემოქმედების. სჩანს მას შესძლებია საკუთარი კარნახით მთელი თავისი ბუნების შეცვლა. თუ ეს წესაძლოა, მაშინ მარქსისტული დეტერმინიზმი, ადამიანის საქციელის სოციალური განსაზღვრულობა უარყოფილ უნდა იქნეს. მატერიალისტურ დეტერმინიზმა ადგილი უნდა დაუთმოს იდეალისტურ ინდეტერმინიზმს.

აქ ბრიკი აცხადებდა, რომ მხატვრულ შემოქმედებისა და საწარმოო მუშაობის შორის არავითარი სხვაობა არ არსებობსო. ეს „ლეფისტური“ მარქსიზმია. აქ ფორმა „მარქსისტულია“ შინაარსი ლეფისტური. ის მიაგავს მშვენიერ ყუთს, რომელშიაც ყალბი სამკაულები ინახება. მარქსიზმი არ უარყოფს „მხატვრულ აღმაფრენას“, „პოეტურ გენცდას“ და სხვა ამგვარ ცნებებს. ის იძლევა მხოლოდ იმ მტკიცე ჭეშმარიტებას, რომ ყველა ეს ცნებანი მოცემულია როგორც სოციალური რეფლექსები გარკვეული ადამიანის ფსიქოლოგიაში, რომ ასეთ ცნებებს არავითარი მისტიური სამყარო არ განაგებს, ინტუიციის ღვთაებრივი საიდუმლოება მათ არ ფარავს. პოეტური განცდა, მხატვრული შემოქმედების ემოციონალური მხარე არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, რადგან ის ფაქტია. მარქსიზმი ფაქტის უარყოფა კი არ არის, არამედ ფაქტის მატერიალისტური გაგებაა.

პატივცემული პ. ს. კოგანი გვეუბნება ფაქტია რომ პაპა იულიანემ შეუკვეთა მიქელ-ანჯელოს სიკტსტინის კაპელის დახატვაო. დიახ, ეს ფაქტია. მაგრამ აქ შეკვეთა არის თემის და არა განსაზღვრა ნაწარმოების. პაპა იულიანე II თუ უკარნახებდა მიქელ-ანჯელოს ნაწარმოების კომპოზიციას, ფერებსა და ხაზებს, მაშინ თვით ის იქნებოდა მიქელ-ანჯელო. რეალური შეკვეთა არსებობს, როგორც საბაბი შემოქმედების, როგორც შემოქმედების გარეგანი მომენტი, რომელიც მის შინაგან თვისებებზე არ მოქმედობს. ეს კი არის სწორეთ ის, რაც არ არის სოციალური შეკვეთა. უკანასკნელი გულისხმობს იმ შინაგანი ემოციონალური გამომეტყველების მოცემას, რომელიც შეეფარდება და ამდენათვე გამოადგება შემკვეთელ კლასს. როდის შესძლებს ხელოვანი ასეთი გამომეტყველების მოცემას? როდესაც ის ორგანიულათ განიცდის კლასის ყოფას, მის ფსიქო-იდეოლოგიურ რაობას, დღეს კი ჩვენში რევოლიუციას, როდესაც ის მუშაობს არა რევოლიუციის შეკვეთით, არამედ რევოლიუციის ინტერესებით. ბრიკის სიტყვა მოკლეთ, რომ გამოვთქვათ მივიღებთ: მომეცით აზრი — მოგცემთ სიტყვებსო. ჩვენ არ გვაინტერესებს მხატვრის გულწრფელობა, ჩვენ ვართ ოსტატები და ვმუშაობთ ისე, როგორც მოითხოვს შეკვეთის მომცემიო. მისი დებულება, რომ როგორც ზარბაზნის ქარხნის მუშების იმპერიალისტობას არ ააშკარავებს მათი მუშაობის პროცესი, ისე არც შემოქმედების ნამუშევარი იძლევა მის გულწრფელ განცდასო. არის, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალური სპეციალისტის თვალსაზრისი, რომელიც „ნეიტრალურათ", უხალისოთ ასრულებს აღებულ შეკვეთას. რევოლიუციას ვერ გაუწევს სამსახურს ასეთი მუშაკები. დიდ საქმეს დიდი ენტუზიაზმი და შინაგანი რწმენა სჭირია. შეკვეთის შემყურე ხალხი, რომელიც ვერ გრძნობს პროლეტარულ შემოქმედების შინაგან, ემოციონალურ მოთხვნილებას ვერ მოგვცემს პროლეტარულ მხატვრულ ფაქტს.

მარქსისტული ესთეტიკა ნორმატიული სწავლა კი არ არის, კაუზალური თეორიაა. ის მოთხოვნებსა და შეკვეთებს კი არ აყენებს, არამედ მოცემულ მხატვრულ ფაქტს, დიალექტიურ-მატერიალისტური ანალიზით არკვევს და ააშკარავებს მის სოციალურ საფუძვლებს. ამდენათვე, ის ითვალისწინებს იმას, რაც აუცილებლად იქნება როგორც სოციალური განვითარების აუცილებელი რეზულტატი და არ აყენებს სუბიექტიურ ნორმებს იმის შესახებ თუ რა უნდა იქნეს, როგორც სასურველი მოვლენა.

სოციალური შეკვეთის თეორიის პრინციპები. თუ კი ასეთი მას გააჩნია — არავითარ შემთხვევაში არ თავსდება მარქსისტული

მსოფლმხედველობის წრეში. თუ ამ თეორიას განვიხილავთ ისეთი სიფართოვით, როგორც ამას შვრება პ. ს. კოგანი, მაშინ ამ თეორიის საჭიროება ჰქრება. სოციალური შეკვეთის თეორიას სცვლის სოციალური განსაზღვრულობის თეორია ე. ი. ის თეორია, რომელსაც ხელოვნების მარქსისტულ სოციოლოგიას უწოდებთ. ასეთ შემთხვევაში სოციალური შეკვეთის თეორია უარსაყოფია, როგორც ზედმეტი, მეცნიერული კვლევისათვის გამოუსადეგარი და ამ კვლევის ტერმინოლოგიის აღმრევი სწავლა.

მართლაც სოციალური შეკვეთის თეორია ერთსა და იმავე დროს აყენებს მარქსისტულ ხელოვნების სოციოლოგიისა და ესთეტიკის მთელ რიგ პრობლემებს: ხელოვანი და კლასი, ხელოვნების სოციოლოგიური ეკვივალენტი, შეკვეთა და შესრულება ხელოვნებაში, ნების პრობლემა, მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგია და სხ. და სხ. ყველა ეს საკითხები ვერ ჰპოვებენ სწორ გადაჭრას, რადგან მათი მეთოდოლოგიური განხილვა შემცდარ საბუთზე ხდება. შემკვეთის, მომხმარებლის თვალსაზრისი, რომელიც არის სოციალური შეკვეთის თეორიის გამოსავალი წერტილი, გვეპატიჟება ვალიუნტარიზმისა და იდეალიზმისაკენ. ამიტომ სოციალური შეკვეთის თეორია უნდა იქნეს უარყოფილი. ამას გვიკარნახებს არა მარტო თეორეტიული ინტერესი, არამედ პრაქტიკულიც. თუ სოციალური შეკვეთის თეორია სწორია, თუ ორგანიულ განცდას, მხატვრის ემოციონალური სამყაროს სოციალურ განსაზღვრულობას ხელი არა აქვს მისი შემოქმედების ფსიქოიდეოლოგიურ მისწრაფებებთან, მაშინ სამხატვრო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს უპირველესად დახელოვნებულ, ცოდნით დატვირთულ და „სპეცური სტაჟის“ მქონე მხატვრების მფარველობისაკენ. მართლაც, რა საჭიროა პროლეტარიატის რიგებში, მშრომელ ახალგაზრდებში, ახალი კლასის სილრმეში მხატვრული ინიციატივის ამოძრავება, მასზე დროს, ყურადღების, თანხის ხარჯვა, მათი წაქეზება და აღზრდა, თუ კი სოციალური შეკვეთით, პროლეტარიატის საქმეს მხატვრულ დარგში, შეასრულებს უკვე დახელოვნებული და ცოდნით დატვირთული ძველი და ახალი ჯურის „სპეცები“, რომლებიც მზათ არიან პროლეტარიატის შეკვეთით აამოძრავონ თავიანთი მხატვრული ფანტაზია.

სოციალური შეკვეთის თეორიის პრინციპიალური დებულებანი ლოლიკურად მიგვიყვანს რეაქციონურ სამხატვრო პოლიტიკასთან. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ლეფის“ ჯგუფის მწერლები, ამ თეორიის ავტორნი, უკვე იჩემებენ პროლეტარული ხელოვნების მესაკუთრეობას. უკვე ედავებიან პროლეტარულ მწერლებს რევოლიუ-

ციონერობაში. ისინი ივიწყებენ, და მასთან ერთად ზოგიერთი მარქსისტიც, რომ შემოქმედების საწყისები ღრმათ მარხია სოციალურ ფაქტორებში, ისტორიის ობიექტიურ მსვლელობაში. ის, რაც არ გადამუშავებულა მოცემული კლასის ფსიქოლოგიაში, რაც ორგანიულ ნაწილათ არ ქცეულა მის ყოფაში, ვერ გადავა მხატურულ გამომეტყველებაში, ვერ მოიპოვებს მხატვრულ ფორმას. ყოველი კლასი ჰქმნის მხატვრულ სტილს, როგორც გარკვეულ სისტემას, დამყარებულს გარკვეულ კლასობრივ მსოფლშეგრძნობაზე. ეპოქის სტილი, რაშიაც იგულისხმება ისტორიული პერიოდის გარკვეული ნაკვეთის გაბატონებული კლასის სტილი, იქმნება არა ამ კლასის შეკვეთით მოწინააღმდეგე კლასის მხატვრების, ან საკუთარი კლასის მხატვრების მიმართ, არამედ თვით კლასის მატერიალურ-სულიერი კულტურის ორგანიული გამოვლენით. პროლეტარული სტილის შესაქმნელად საჭიროა არა შეკვეთა, არამედ ქვეყნის მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერება, ქარხნების შეუჩერებელი ქშენა, დეპოების გამუდმებული ხმაური, კოლმეურნეობათა შეუჩერებელი განვითარება, ამ ნიადაგზე ახალი ყოფის, ახალი ზნეობრივ-უფლებრივი განცდების ჩამოყალიბება და კომუნისტური შეგნების განმტკიცება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ნაწილში. ამაშია მთელი ჩვენი მხატვრული პროდუქციის საფუძველი. ვიდრე ისტორია არ ინებებს ახალი ადამიანის მკაფიო გამორკვევას, ვერავითარი სოციალური შეკვეთა მას ვერ ჩამოაყალიბებს მხატვრულ სახეებში. ისტორია კი ახალ ადამიანს იძლევა ახალ სამეურნეო-საზოგადოებრივ მოვლენათა კონტექსტში, იქ, სადაც ისტორიის ლაბორატორია ახალ ცდებს აყენებს ე. ი. ახალ კლასში. მხატვრული შემოქმედება მხოლოდ მაშინ შესძლებს ახალი ხედვითი წერტილის პოვნას, როდესაც ის მოექცევა ამ ობიექტიური პროცესის ორგანიულ მსვლელობაში.

საერთო დასკვნა, რომ გაუკეთოთ თქმულს მივიღებთ: სოციალური შეკვეთის თეორია წარმოადგენს მარქსიზმის „ლეფისტურ“ ვულგარიზაციას, რაც მიდის იდეალიზმისა და ვოლიუნტარიზმის უკიდურესობამდე. ის ჰქმნის მარქსისტულ ხელოვნებათმეტყველებაში ტერმინოლოგიის უდიერ დამახინჯებას. ის ვერ არკვევს ხელოვანისა და კლასის ურთიერთობას და აყენებს ნიჰილისტურ ტენდენციას მხატვრულ შემოქმედების ფსიქოლოგიის მიმართ. აღნიშნული თეორია ამრუდებს, და ამახინჯებს სამხატვრო პოლიტიკას, მოითხოვს „ლეფისტურ“ სპეცების შემოქმედებით პროლეტარული შემოქმედების შეცვლას.

სოციალური შეკვეთის თეორია ერთი შეხედვით თითქო მეტად ფართოა და ღრმა, მაგრამ ჰეგელის მოსწრებული გამოთქმა — რომ ვიხმაროთ, არსებობს ცალიერი სივრცე და ცალიერი სიღრმე. სოციალური შეკვეთის თეორია ჯერ ცალიერია. ამას ვერ უარყოფს ვერც პატივ. პ. ს. კოგანი. ვერც ამხ. ბრიკი. რომლებიც მზათ არიან შეუცვალონ მას სახელწოდება: პირველი თანახმაა შეკვეთის ცნება შესცვალოს ნაკაზის ცნებათ, მეორე სოციალური შეკვეთის თეორიას სთვლის მხოლოდ ლოზუნგათ და არა თეორიათ. ეს გარემოებაც იმას ამტკიცებს, რომ აღნიშნული თეორია თუ ფრაზა ზედმეტი ბარგია მარქსისტულ ხელოვნების მეტყველებაში და ურიგო არ იქნება დაუძახოთ ტვირთმზდავთ, რომ ის გავიტანოთ ჩვენი მეცნიერების ლაბორატორიიდან *).

—:—

*) რედაქცია ამხ. ს. ამაღლობელის მთავარ დებულებას არ იზიარებს. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე „სოციალური დაკვეთის" შესახებ გახსნილი იყო ფართო დისკუსია. ერთ-ერთ შემდეგ ნომერში ვრცლად განვიხილავთ ამხ. ამაღლობელის მოსაზრებებს.

რედ.

ვლ. ჯაფარიძე

კლასიკურ მწერლობის გამოცემის ირგვლივ

როგორც უკვე იყო გაზეთებში გამოქვეყნებული, სახელგამთან არსებულმა კლასიკური მწერლობის სექციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები კლასიკოსების გამოცემის ირგვლივ და დაავალა სახელგამს მიმდინარე წლის განმავლობაში გამოსცეს ცხრა წიგნი: დავ. გურამიშვილი, კალმასობა და საათნოვა — ძველი მწერლობის ქვესექციის ხაზით; დანიელ ჭონქაძე, ეგნ. ნინოშვილი — პირველი წიგნი, ირ. ევდოშვილი — პირველი წიგნი, გ. წერეთელი — პირველი წიგნი (პუბლიცისტური ნაწერები) და რაფ. ერისთავი — პირველი წიგნი — მე-19 საუკ. ლიტერატურის ქვესექციის ხაზით და ქართული ხალხური პოეზია მთაში — ხალხური ლიტერატურის ქვესექციის ხაზით.

ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის უკანასკნელი თვის განმავლობაში სახელგამის და ყველა ცალკე ქვე-სექციების მიერ ჩატარებულ იქნა წინასწარი მუშაობა, რათა იანვრის დამლევიდან შესაძლებელი გამხდარიყო დასაბეჭდად მიღებულ წიგნების ერთი ნაწილის მაინც სტამბაზე გადაცემა, ხოლო დანარჩენების კი ნაწილობრივ მაინც შემზადება.

ამ მუშაობის პროცესში ნათლად გამოირკვა მთელი სირთულე კლასიური მწერლობის გამოცემისა, როგორც ტექსტის დადგენის მხრივ, ისე რედაქციისა და თარგმნის მხრივაც: ამა თუ იმ წიგნის ტექსტის საბოლოოდ დადგინებისათვის საჭირო შეიქნა გადასინჯვა და შემოწმება ყველა არსებულ ხელნაწერებისა და აგრეთვე უკვე გამოცემაში არსებულ წიგნების პირვანდელი დედნების მოძებნა.

მაგალითად: დავ. გურამიშვილის ნაწარები, რომელიც წელს უნდა გამოვიდეს არსებობს ჩვიდმეტ ხელნაწერში, რომელთა ტექსტები ერთიმეორესაგან განსხვავებული არიან და ამიტომ საბოლოო ტექსტისათვის საჭიროა ყველა მათი შესწავლა და დამუშავება.

ასევეა საათნოვა (ათი ხელნაწერი) და სხვ.

რაც შეეხება უფრო ახლო ლიტერატურას (მე-19 საუკუნისას), იქაც ასეთსავე გარემოებასა აქვს ადგილი, თუმცა, რასაკვირველია,

არა ისეთი მასშტაბით, როგორ ამას ვხედავთ ძველს ლიტერატურაში. მაგალითად სახელგამის მიერ 1923 წელში გამოცემული ე ვ. ნ ი ნ ო-შ ვ ი ლ ი ს ე. წ. აკადემიური ორტომიანი გამოცემა მიუღებელი გამოდგა, ვინაიდან თითქმის ყოველ ნაწარმოებს სჭირდება დედნიდან ხელახალი გადმოწერა და აღდგენა: მრავალი მათგანი დამახინჯებულია, ზოგი შემცირებულია ცენზურის მიერ და ზოგიც დაზიანებული გამომცემლების მიერ. ამიტომ თითქმის ყველა მოთხრობა მოითხოვს ცალკე შესწავლას და დიდს წინასწარ მუშაობას: ე ვ. ნინოშვილის ბიოგრაფიიდან აღმოჩენილი ახალი მასალები ამისათვის საკმაო მასალას იძლევა.

რაც შეეხება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ნაწერებს, რომელიც მთლიანად ჯერ არ ყოფილა გამოცემული, — ხოლო რაც კი გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ისიც თითქმის სრულიად დამახინჯებულია ცენზურის მიერ, — აქაც კიდევ უფრო მეტს სირთულესა აქვს ადგილი და, რასაკვირველია, დაკვირვებაც დიდი იქნება საჭირო. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება რომ ამ გამოცემაში შესაძლებელია შევიდეს ბევრი სრულიად გამოუქვეყნებელი მასალა კერძო წერილებისა და სტატიების სახით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიისათვის.

მეტად სერიუზულად უნდა ჩაითვალოს საკითხი ამ მუშაობის გარშემო სათანადო სამეცნიერო ძალების შემოკრების შესახებ; აქაც მიღებულია საჭირო ზომები და მუშაობაში ჩაბმული იქნებიან ამა თუ იმ სახით ახალგაზრდა მარქსისტი მეცნიერები, რომელნიც იმუშავებენ, როგორც ტექსტების გამართვაზე, ისე საერთო ხელმძღვანელობის დარგში.

ამ სიძნელეებს ზედ ერთვის აგრეთვე მატერიალური მხარეც, ვინაიდან კლასიკური მწერლების გამოცემა, რომელსაც საქართველოში არა აქვს ტრადიცია, — მოითხოვს დიდ ხარჯებს.

მაგრამ საქმე უკვე დაწყებულია და, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც უთუოდ აქვს ჩვენთვის ამ მიმართულებით მუშაობას და იმასაც, რომ ასეთი ლიტერატურა არასდროს დეფიციტიანი არ გამომდგარა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმიანობას მატერიალურადაც სრული გამარჯვება მოელის.

საჭიროა მხოლოდ ამ საქმეში ჩაბმული ძალების მეტი ინტენსიური მუშაობა, მეტი ინიციატივა, ხოლო სათანადო ორგანოების მხრივ კი განუწყვეტელი სისტემატიური ხელმძღვანელობა.

ბიბლიოგრაფია

ნ. — ი.

ი. გრიშაშვილი — „ექვსი ლექსი“ — 1930 წ. — ფ. 35 კ.

სარეცენზიო წიგნაკში შესულია გრიშაშვილის უკვე დაბეჭდილი და მკითხველთათვის ნაცნობი ლექსები: „მუნასიბი“, „დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“, „ჩუსტის მკერავი“, „შენ გაირყვნები“, „გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე“ და „საუბარი ასოთამწყობთან“.

ყველაზე ადრინდელი ამ ლექსებ შორის — „დუდუკის საარი“, დაბეჭდილია 1925 წელს, ყველაზე უკანასკნელი დროის — „საუბარი ასოთამწყობთან“ — დათარიღებულია 1929 წლით. ეს ლექსები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი ამჟღავნებენ გრიშაშვილის, როგორც პოეტისა და როგორც მოქალაქის განწყობილებებს უკანასკნელ პერიოდში.

გრიშაშვილი ერთ ლექსში ამბობს, რომ მას იმთავითვე არა ჰქონია „საასპარეზოდ დიდი ფართობი“, რომ მან თავის „ვიწრო-ფონიან“ ლექსებში დააგროვა ხვავად „მზე, სილამაზე, კოცნა და მკერდი“, სრული სიმართლეა. გრიშაშვილი ერთ დროს ოსტატი იყო კოცნის, ქალის მკერდებისა და ოქროს ფეხების პოეზიისა. მაგრამ დადგა მომენტი, როდესაც პოეტის შინაგანი წვრილ-წვრილი განცდებისა და მსუბუქი ეროტიული ოცნებების პოეზიას გამოეცალა საფენელი. დიადმა სოციალურმა ძვრებმა, სამოქალაქო ომების ქარიშხალმა, კლასობრივ ძალთა ჭიდილმა და გადაჯგუფებამ და ყოველივე ამასთან დაკავშირებულმა ფართე სოციალურმა პრობლემებმა — დაჩრდილეს და სრულიად უინტერესო გახადეს ყოველგვარი სახის ვიწრო ინდივიდუალისტური განწყობილებები პოეტურ შემოქმედებაში. ახალმა ეპოქამ მწერლებს წამოუყენა სრულიად ახალი, სრულიად განსხვავებული მოთხოვნილებები. ამ მომენტიდან იწყება გრიშაშვილისთვის ხანგრძლივი შემოქმედებითი კრიზისი და თემატიკის ძიება. ეს კრიზისი დღესაც არ არის დაძლეული.

სარეცენზიო კრებულში ამ მხრივ საყურადღებოა ორი ლექსი, ასე ვსთქვათ საპროგრამო ხასიათისა. „დუდუკის საარში“ პოეტი დანანებით ამბობს, რომ ძველი ტფილისი თავისი პერსონაჟებით უკვე დავიწყებას მიეცა. „სადღაა ეშხი და სილამაზე“, — ოხრავს პოეტი, „არ სჩანს ურმები მოჩარდახული, ღამისმთეველებით ბოლნისის გზაზე“, დავიწყებულია ძველის-ძველი ადათები: კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა, საფლავზე ღვინის მიტანა; ველარც ელამ მიკიტანს დაინახავ „თავის დუქანთან მიბმულ ყოჩით“. ამ ლექსში ჩვენ საქმე გვაქვს წარსულის ჭარბ იდეალიზაციასთან და რომანტიკასთან. აქ, სხვათაშორის, უნებურათ გვაგონდება, თუ, ჯერ კიდევ მრავალ ათეულ წლების წინათ, ილია ჭავჭავაძემ, თავის „კაცია-ადამიანში“, როგორ გააშარჟა ეს მოჩარდახული ურმები, ღამის სათევათ მოგზაურობა

და მრავალი სხვა მამაპაპეული ადათ-ჩვეულება. ეხლა, ჩვენს დროში, ყოველივე ამის იდეალიზაცია და რომანტიული შუქით გამოჩენა მხატვრულად და საზოგადოებრივათ გაუმართლებელია. ამგვარათვე უნდა შეფასდეს ავტორის სინანული იმ გარემოების გამო, რომ ქახნის საყვირმა დაახშო დუდუკის საარის ხმები.

უფრო საყურადღებოა ლექსი „საუბარი ასოთ-ამწყობთან". აქ ხელშეხებულია უმტკივნეულესი პრობლემა პოეტის მოვალეობისა და საერთოდ მწერლის დამოკიდებულებისა თანამედროვეობასთან. ეს დიალოგი ნათლად გვიხატავს იმ შინაგან იჭვებს და ფიქრებს, რომელიც აღძრულია პოეტში დღეს. ასოთამწყობის სახით შინაგანი ხმა უკარნახებს პოეტს: „...ძმაო, მიხედ-მოხედე,

განა ცოტაა გასალექსავი,
რომ ლექსის ნაცვლად რჩეობ სიჩუმეს?

პოეტი უპასუხებს: „მე მტერს სხვა მხრიდან ვესვრი ქიმუნჯებს,
ვწერ გამოკვლევებს... მიყვარს მშრომელი"...

გარდა ამისა ავტორს თავისი სიჩუმის მიზეზი უფრო სხვა სფეროში გადააქვს. იგი მეტად თამამი ჟესტით კითხვით ნიშანს უკეთებს საერთოდ პოეზიას:

„ლექსი მოძველდა... და ამის გარდა
არ ფასობს ეხლა წმინდა ლირიკა"...

არ შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ ამ დებულებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსი არ მოძველებულა, პირიქით, არსებულ საზოგადოებრივ სიტუაციაში, პოეტური სიტყვა შეიქნა სოციალური ზედმოქმედების ერთ-ერთ უმძაფრეს იარაღათ. გარდა ამისა, რას გულისხმობს ავტორი „წმინდა ლირიკაში"? თუ მისი აზრით წმინდა ლირიკა შეიცავს მხოლოდ „კოცნასა და მკერდებს", — მაშინ გრიშაშვილი მართალია, ასეთი ლირიკა დღეს მართლაც „არ ფასობს".

„ექვსი ლექსი" გამოცემულია ხელნაწერის სახით, მეტად სადათ და ლამაზათ.

3. ხ.

გრ. გიორგაძე. „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864 — 1905".

სახელგამი, 1928, გვ. 589, I — XV, ფასი 3 მან. 50 კაპ.

ქართველმა მშრომელმა ძალიან ცოტა იცის თავის წარსულის შესახებ; ცოტა იცის იმის შესახებაც, თუ რაგვარ დამოკიდებულებაში იყვნენ მისდამი სხვა კლასები წარსულში. ეს კი აუცილებლად უნდა იცოდეს მან, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამედროვე პირობებში სათანადოთ ვერ გაერკვევა და თავს ვერ გაართმევს იმ უამრავ კითხვებს, რომელთა გადასაჭრელათ წამოაყენა იგი ისტორიამ.

სარეცენზიო წიგნის ავტორს უსათუოდ საკითხის სიდიადის შეგნებამ მოაკიდია ამ რთულ და პასუხსაგებ საქმისათვის ხელი: ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ურთიერთობის ჯეროვანად გათვალისწინება მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეჭვი არაა, რომ ფრიად ძნელი საქმეა. ძნელია იმიტომ, რომ ეს ეპოქა ურთულესი ეპოქაა ჩვენი ხალხის ისტორიაში; ესაა ჩვენი ეკონომიურად და გონებრივად

გაევროპიულების ხანა, ესაა ქართული ხალხის, უძველესი აზიური ერის ახალი ცხოვრების გზაშარაზე გამოსვლა: ახალ ეკონომიურ და კულტურულ ვითარებაში ჩაბმა, ხალხის შემადგენელ ნაწილების ხელახალი დაჯგუფება ახალი კლასების სახით და სხვა. ამ ეპოქის მკვლევარი აუარებელი ფაქტების წინაშე დგას და ადვილად შესაძლებელია, რომ სრულიად დაიბნეს ამ სირთულის წინაშე, თუ სათანადო მეთოდით არაა იგი შეიარაღებული.

მეორე გარემოებაა, რომელიც ამ სიძნელეს ხელს უწყობს, ეს საჭირო მასალების უწესრიგობა და ცნობაში მოუყვანელობაა: ეპოქის მატიანე მშრალი და შეუკავშირებელი ფაქტების სახით ჯერ კიდევ მეფის დროინდელ არქივებში ინახება და თითო ოროლა მკვლევარს თუ მოუკიდია მათთვის ხელი. ამიტომაც გრ. გიორგაძეს ორგვარი შრომის ჩატარება დასჭირდებოდა: არქივებიდან ფაქტების გამოკრება და შემდეგ მათი აწყობა საზოგადოებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. სამუშაო რთული და უამრავია, საკითხები ძნელი და მრავალ შემთხვევაში ან ახლად წამოსაყენებელი, ან ახალის საბუთებით დასადასტურებელი.

გრ. გიორგაძის ამ შრომის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან იწყება უფრო გარკვეული ბრძოლა თვითმპყრობელობის და მისი ბურჯის მემამულეთა წინააღმდეგ... ჩვენს ამოცანას შაედგენს: საქართველოში ამ ბრძოლის გადაშლა, მისი განვითარების ეტაპები და, როგორც დასკვნა, პირველი რევოლუციის (1905 წ.) დასაწყისის დახასიათება. ეს ამოცანა გულისხმობს, რომ ორმოცი წლის მანძილზე დავახასიათოთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, აღვნიშნოთ ის სოციალური ძალები, რომლებზედაც ეყრდნობოდა თვითმპყრობელობა თავის პოლიტიკის გატარებაში, და აგრეთვე ის ფენები, რომელნიც შეადგენდენ ბაზას თვითმპყრობელობის და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებისათვის“. როგორც მკითხველი ხედავს, წიგნის მიზანი სწორეთ იმ მხრივ არის გამახვილებული, რა მხრივაც დღევანდელი მებრძოლი ხანის მკითხველს დააინტერესებს და წარსული ბრძოლების ეტაპებს თვალწინ გადაუშლის.

ავტორს არასოდეს არ ავიწყდება ეს გარემოება და ფაქტებსაც ამის შესაფერად ალაგებს. მაგრამ ეს არ არის უბრალო ფაქტოლოგია, მოვლენების მიზეზობრივობის გარეშე მოცემა და მემატიანეს როლის შესრულება. არა, გრ. გიორგაძე დაკვირვებული მკვლევარია, მისი გამოსავალი თვალსაზრისი მარქსისტული პრინციპია: პირველ რიგში მისთვის ეკონომიური ფაქტორი არსებოს და მხოლოდ ამ ძირითად მოვლენასთან დაკავშირებით უდგება იგი საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის საკითხს. წიგნში უპირველს ყოვლისა მოცემულია გლეხობისა და თავადაზნაურობის ისტორია ბატონყმობის შემდეგ პირველ რევოლუციამდე. ეს ისტორია თავიდან ბოლომდე ეკონომიურ ბაზაზეა დაყრდნობილი და ყოველგვარ მათ დამოკიდებულებას ამ თვალსაზრისით ხსნის. გზადაგზა გაშუქებულია ბურჟუაზიული კლასის გაძლიერების რპოცესი, გადაშლილია აგრეთვე პროლეტარული კლასის ვითარება. წიგნის მეორე ნაწილად ხელისუფლების დახასიათება უნდა ჩაითვალოს, მესამე ნაწილი იდეოლოგიურ მოძრაობას ეხება და ბოლოს მოცემულია პირველი რევოლუციის ეპოქა.

გიორგაძის ნაშრომი თავიდან ბოლომდე უდიდესის ინტერესით იკითხება, თქვენს წინაშე ყოველ წამს დგას დაკვირვებული და კეთილსინდისიერი მკვლევარი, რომელიც ძალზე მარტივი და სადა ენით გადმოგცემსთ ყოველივე იმას, რაც მის მიერ დასახულ მიზანთანაა დაკავშირებული. ავტორის კალამს არ გამო-

პარვია ოდნავად მნიშვნელოვანი მომენტიც კი განვლილ ვითარების დასახასიათებლად: აქ თქვენ ამოიკითხავთ ცენზურის მძვინვარების ამბავს, მოღვაწეთა შორის პრესაში გამართულ პოლემიკის ძირითად მომენტებს, რევოლუციონურ მოღვაწეთა სახელსა და გვარს, პოლიტიკურ პარტიების დახასიათებას და სხვ. ვიმეორებ, ყველა ეს ფაქტები მთლიან მოვლენებთან დაკავშირებით ეპოქის სურათს იძლევა და განვლილი ბრძოლების მომენტებს ნათლად შლის. ავტორის თვალთა წინ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ასეთი მიზანი დგას: როგორ უწყობდა ეს ფაქტი ხელს რევოლუციონურ მოძრაობას და რა ეძინებოდა ან აკლდებოდა ამა თუ იმ მოვლენის გამო თავისუფლებისათვის მებრძოლ კლასს—პროლეტარიატს.

ღირსებებთან ერთად ამ ნაშრომს უსათუოდ რამდენიმე ნაკლიც აქვს: მართალია, წიგნში მოცმეულია ბურჟუაზიული კლასისა და პროლეტარიატის წარმოშობის პროცესი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მკრთალადაა გაშლილი, განსაკუთრებით ეს ითქმის პროლეტარული კლასის შესახებ. ვფიქრობ, რომ ავტორს უნდა გაეშუქებია ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიც ქართველი პროლეტარიატი იყო ბურჟუაზიის განუვითარებლობის წყალობით და თანაც უნდა ეჩვენებია, თუ რა კულტურული მუშაობის ჩატარება დასჭირდა ამ კლასს ზოგიერთ ფენების ჩამორჩენილობის გამო. ქართველი პროლეტარიატი ისტორიამ თავიდანვე მთელი ხალხის მეთაურად აქცია, ეს ფაქტი უკვე იმ დროს იყო 1905 წელში. თავად-აზნაურობა და უმნიშვნელო ბურჟუაზია რეაქციის ბანაკში იყო, პროლეტარიატს კი გვერდით უდგა მშრომელი გლეხობა.

გარდა ამისა ავტორის ნაშრომს მექანიური მატერიალიზმის დიდი გავლენა ეტყობა, მის ნაშრომში ჭარბობს ემპირიზმი და სუსტად გამოიყურება დიალექტიური მატერიალიზმი. მე სახეში მაქვს იდეოლოგიის სფერო, სადაც გიორგაძე ხშირად საკითხის გამარტივების და გულუბყვრილო რეალიზმის გზით მიდის, ეს გზა ნაკლები წინააღმდეგობის გზაა და მარქსისტულ მოძღვრებას გავულგარებას უქადის.

მარქსის აზრით ადამიანები თავის სურვილის წინააღმდეგ ებმებიან განსაზღვრულ ურთიერთობაში, რომელიც ქმნის განსაზღვრულ ეკონომიურ სტრუქტურას და იდეოლოგიურ ზედნაშენს. როგორც კლასთა ურთიერთობა, ისე იდეოლოგიური სფერო ურთიერთის გავლენით ვითარდება და მახვილდება. იდეოლოგიურ სფეროში უშუალო ეკონომიური გავლენით შეუძლებელია მთელ რიგ მოვლენათა ახსნა. მარქსი გარკვეულად ამბობს, რომ „ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების განსაზღვრული ეპოქები არაფერ შეფარდებაში არაა საზოგადოების საერთო განვითარებასთან და, მაშასადამე, უკანასკნელის ეკონომიურ განვითარებასთანაც, რაიც მისი ორგანიზაციის თითქოს ჩონჩხს წარმოადგენს [1])“. რასაც მარქსი აქ ხელოვნების შესახებ ამბობს, უმეტნაკლოდ შეეხება საზოგადოთ იდეოლოგიას.

გრ. გიორგაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მომენტს და ფაქტების უბრალო აღნუსხვით კმაყოფილდება. დიალექტიური მატერიალიზმი კი ამას ვერ შეეურიგდება. ურთიერთ გავლენა ჩვენს პირობებში განსაკუთრებით ძლიერია გიორგაძის მიერ აღებულ ეპოქაში: ქართველი ხალხი მეფის იმპერიალიზმის ბრჭყალებში ღაფავდა სულს; ამის გამო კლასთა ბრძოლის მომენტი ხშირად მრუდდებოდა და რაღაც მთლიან ფრონტის მაგვარი იქმნებოდა. ამ გარემოებას გიორგაძე უსათუოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რის გამო მის საინტერესო ნაშრომს ღირსება აკლდება. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ამ ეპოქის დიდი ფიგურა, ილია

ჭავჭავაძე ცალმხრივადაა მოცემული. მართალია, ილიაში დიდი იყო კლასობრივი განხრა და თავის მოღვაწეობის გზაზე იგი ხშირად აშკარა მებატონურ თვალსაზრისზე დგებოდა: მაგ., თვითმპყრობელ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება, ხიზანთა საკითხი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ილია „კაკო ყაჩაღი“-ს, „გლეხის ნაამბობი“-ს და „ოთარაანთ ქვრივი“-ს ავტორია. როგორი განხრაც არ უნდა ჰქონდეს ამ ქმნილებებს, რამდენადაც არ უნდა ცდილობდეს მათი ავტორი „ჩატეხილი ხიდი“-ს გამაგრებას, ის მაინც აშკარაა, რომ ამ ნაწერებში გლეხთა წინაშე ქედის მოხრის და მათი სულისკვეთების მომენტების ძლიერად მოცემასთან გვაქვს საქმე. მართალია, მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივად მაინც, „კაკოში“ კი უმეტესად, ილია გლეხთა სურვილებს და მისწრაფებებსაც გვისურათხაზებს. მარტო ამისათვის არ შეიძლება ილიას მსოფლმხედველობის მთლიანად თავად-აზნაურულ მისწრაფებებთან დაკავშირება.

ლენინმა სთქვა ტოლსტოის შესახებ: „ტოლსტოი დიდია, როგორც გამომხატველი და იმ სულიერ განწყობილებათა მატარებელი, რომელიც მრავალ მილიონიან რუსის გლეხობაში მომწიფდა რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის წინ. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მის შეხედულებათა გროვა, რომელიც თავისთავად მავნებელია, სწორედ ჩვენი რევოლუციის თავისებურობას გამოხატავს, როგორც გლეხურ ბურჟუაზიულ რევოლუციის *).

ასეთივე აზრი შეგვიძლია გამოვსთქვათ ილია ჭავჭავაძის შესახებაც: მისი „ჩატეხილი ხიდის“ იდეაც, „გუთანისა და ხმალის“ იდეოლოგია უსათუოდ მავნებელი იყო, მაგრამ კაკო ყაჩაღის ბრძოლა რომ პროგრესიული იყო, ამას ვინ უარყოფს. ოთარაანთ ქვრივიც, რომ ჩვენი გლეხობის კერძო მესაკუთრულ მისწრაფებებს ამჟღავნებდა და, მაშასადამე, გლეხის სულიერ ვითარებას გვაცნობდა, ესეც აშკარაა. ამიტომაც ილიას მოღვაწეობის გაშუქებასაც უფრო მეტი სიმახვილე უნდოდა.

პროლეტარიატის დიდ მასწავლებელს ლენინს, დიალექტიურმა მატერიალიზმმა შეათვისებია ტოლსტოი სწორედ და ორიგინალურად, იგი რომ მექანიური მატერიალისტი ყოფილიყო, ოლმინსკივით იტყოდა: ტოლსტოი თავად-აზნაურული წრიდან იყო და მისი იდეოლოგიაც თავად-აზნაურულიაო. გრ. გიორგაძის შეცდომა სწორეთ იმით აიხსნება, რომ იგი ამგვარ მატერიალიზმისაკენ იხრება.

საერთოდ კი გიორგაძის ნაშრომი ფრიად სასარგებლო წიგნია. შეიძლება რევოლუციონური ფაქტების მოთხრობაში აგერ-ეგერ შეცდომებიც იყოს, მაგრამ ამ შეცდომების აცილება დღევანდელ პირობებში ძნელი იყო. აგერ-ეგერ ენის მხრივაც ნაშრომს ბორძიკი ემჩნევა.

—— : ——

*) Ленин — о Толстом, ტ. 22.

ლიტერატურული ცხოვრება

საქართველო

მწერალთა ფედერაციის საბჭოს პლენუმი. მარტის პირველ რიცხვებში შესდგება სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგში სდგას: სახელგამის საგამომცემლო მუშაობის და ლიტერატურული ფონდის საკითხი.

მწერლები კოლექტივიზაციის ფრონტზე. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ და საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გაგზავნა სოფლად თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებათ: რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე, პ. სამსონიძე, ს. ჯავშანიძე, ა. მაშაშვილი, ა. ჩაჩიბაია, კ. ლორთქიფანიძე და ფრ. ნაროუშვილი.

ა. კ. საბჭ. მწერლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის კომიტეტის პლენუმი. 22 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში შესდგა ა./კავკასიის საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მოღვაწეთა კულტურული კავშირის კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1 კავშირის წესდების განხილვა, 2) სამუშაო გეგმის დამტკიცება და 3) კავშირის ყრილობის მოწვევა.

პლენუმმა მიიღო კავშირის წესდება რომელშიაც ნათქვამია: ა./კ. საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მუშაკთა კულტურული კავშირის წევრებად ჩაითვლებიან საქართველოს და სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაციები, აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, ა./კ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია; საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რევოლუციონურ მხატვართა ასოციაციები, საქართველოს რევოლიუციონური კინემატოგრაფიის ასოციაცია, სომხეთის და ასქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაციები და აგრეთვე ის მწერლები, და ხელოვნების მუშაკნი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

წესდების მიღების შემდეგ, პლენუმმა დაამტკიცა თავისი სამუშაო გეგმა და გადასწყვიტა გამოყოს კავშირიდან ბრიგადა, რომელიც სამსახურს გაუწევს სოფლის კოლექტივიზაციის საქმეს.

რაც შეეხება კულტურული კავშირის ყრილობის მოწვევას, ყრილობა მოწვეული იქნება ივნისში.

აკაკი წერეთლის ხსოვნის საღამო. თებერვლის დამლევს ხელოვანთა სასახლეში მოეწყობა აკაკი წერეთლის ხსოვნის საღამო, გარდაცვალებიდან 15 წლის თავის აღსანიშნავად.

გ. წერეთლის ხსოვნის საღამო. 10 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში მოეწყო გ. წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, საღამოზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. სიმონ ხუნდაძე, რომელმაც დაახასიათა გ. წერეთელის აზროვნება და შემოქმედება.

შირვანზადეს იუბილე. 8 თებერვალს ერევანში გადახდილ იქნა სომხეთის გამოჩენილ რომანისტის და დრამატურგის ალექსანდრე შირვანზადეს 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე. სომხეთის კომისართა საბჭოს დადგენილებით ალ. შირვანზადე გამოცხადდა სომხეთის სახალო მწერლად. ერევანში

იუბილეს დაესწრენ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის წარმომადგენლები: გრიგოლ რობაქიძე, ს. ეული და ტიციან ტაბიძე.

დ. ყიფიანის მემუარები. იბეჭდება დიმიტრი ყიფიანის მემუარები, რომელშიაც მოთავსებული იქნება დ. ყიფიანის შემდეგი მოგონებანი: „სკოლა სულისა“, „1832 წლის ყაზარმობა“ და „ჩემი მონაწილეობა 1832 წ. შეთქმულებაში“. წიგნი გამოდის სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

შალვა რადიანის წიგნი. დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ შალვა რადიანის კრიტიკული წერილების კრებული: „ლიტერატურის საკითხები“.

გრიგოლ ცეცხლაძის პოემა. გამზადებულია დასაბეჭდათ და ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნათ გრიგოლ ცეცხლაძის პოემა: „ოთხი მაუზერი“.

რაჟდენ გვეტაძის მოთხრობების წიგნი. სახელგამი სცემს რაჟდენ გვეტაძის მოთხრობების წიგნს.

„ახალი გლეხები“. დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევების წიგნი: „ახალი გლეხები“ (გამომც. „ქართული წიგნი“).

ნ. ჩხიკვაძის ლექსები. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ ნოე ჩხიკვაძის ლექსების წიგნი (გამოც. „სახელგამის“).

ს. გორგაძის წიგნი. დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სერგო გორგაძის ლექსთწყობის გამოკვლევა „ქართული ლექსი“.

ტიციან ტაბიძის წიგნები. სახელგამის სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში დაიბეჭდა ტიციან ტაბიძს ორი პოემა: „რიონ-პორტი“ და „გულდაგულ“; ამავე ავტორის პოემა „როალდ-ამუნდსენ“ დაიბეჭდა ცალკე წიგნად (გამოც. თავდაცვა-ავიაქიმისა).

გ. წერეთლის პირველი ტომი. სახელგამი უკვე შეუდგა გიორგი წერეთელის პირველ ტომის გამოცემას. წიგნი გამოვა სიმონ ხუნდაძის რედაქციით.

ახალი რომანი. სოლომონ თავაძემ დაამთავრა რომანი „გზა მეწამული“. რომანი ახლო მომავალში გამოვა ცალკე წიგნად.

დემნა შენგელაიას ახალი წიგნი. დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად დ. შენგელაიას მოთხრობა: „ცხრა თვალი“ (გამოც. სახელგამის.).

მოპასანი ქართულად. გერონტი ქიქოძემ სთარგმნა ფრანგულიდან მოპასანის „Bel Ami“.

ვაჰან თერიანის ლექსები. ტიციან ტაბიძე ამზადებს ქართულ ენაზე გამოსაცემათ სომეხი პოეტის ვაჰან თერიანის ლექსების წიგნს.

ქართველი მწერლები უკრაინულად. უკრაინის სახელგამი სცემს დ. სულიაშვილის „ნაღვერდალს“ და კ. ლორთქიფანიძის რომანს „ხავსი“; უკრაინის სახელგამს განზრახული აქვს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქართველი მწერლების გამოცემა უკრაინულად.

კ. ლორთქიფანიძე სომხურად. სომხეთის სახელგამი სთარგმნის და სცემს კ ლორთქიფანიძის მოთხრობებს: „ფოტოგრაფი“ და „პირველი დედა“.

რ უ ს ე თ ი

მაპპის პირველი საოლქო კონფერენცია. მოსკოვში, თებერვლის 5-9 რიცხვებში ჩატარდა მოსკოვის პროლეტარულ მწერლების ასოციაციის პირველი საოლქო კონფერენცია. კონფერენციაზე სხვადასხვა აქტიურ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდენ სურკოვი, ფადეევი, სელივანოვსკი და სხვები.

მაიაკოვსკის, ბაგრიცკის და ლუგოვსკოის შესვლა რაპპში. მაპპის პირველ საოლქო კონფერენციაზე პოეტი ვლ. მაიაკოვსკი გამოვიდა შემდეგი განცხადებით: „პროლეტარული ლიტერატურის ძალების გაერთიანების განხორციელების ლოზუნგებთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმიღოთ რაპპში:

1) არავითარი სხვა შეხედულება, პარტიის მიერ წარმოებულ ძირითად ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზის მიმართ, რომელსაც ატარებს ვოაპპი, მე არა მაქვს და არც მქონია.

2) მხატვრულ-მეთოდოლოგიური უთანხმოებანი შეიძლება გადაიჭრას პროლეტარულ ლიტერატურის სასარგებლოთ, ასოციაციის ფარგლებში.

მე ვფიქრობ რომ ასეთსავე დასკვნამდე უნდა მივიდნენ ყველა რეფელები, ვინაიდან ამას გვიკარნახებს მთელი ჩვენი დღემდე წარმოებული მუშაობა.

ასეთივე განცხადებით გამოვიდენ კონტრუქტივისტები ბაგრიცკი და ლუგოვსკოი.

ყველა დასახელებული მწერლები მიღებულ იქნენ მაპპის წევრებათ.

საბჭოთა მწერლების კლუბის გახსნა. მოსკოვში 3 თებერვალს გაიხსნა საბჭოთა მწერლების კლუბი. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სუტირინმა.

კლუბის გახსნას მიესალმენ მთელი რიგი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით კლუბის გახსნას მიესალმა ამხ. ბესო ჟღენტი.

უ კ რ ა ი ნ ა

საავტორო საზოგადოებათა სრულიად საკავშირო კონფერენცია. ხარკოვში იანვრის 25-30-ე მიმდინარეობდა დრამატურგთა, კომპოზიტორთა და სცენარისტთა საზოგადოებების სრულიად საკავშირო კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ: უკრაინის საავტორო საზოგადოება „უტოდიკი", რუსეთიდან „მოდპიკი" და „დრამკავშირი", ბელორუსიიდან „ბელტოდიკი" და საქართველოდან „დრამკომი". ქართულ საზოგადოების დელეგატებათ ყრილობაზე იყვნენ: ბ. ჟღენტი, პ. სამსონიძე და მ. ჯავახიშვილი.

კონფერენციამ დაადგინა მოხდეს ძირითადი გარდატეხა საავტორო საზოგადოებათა მუშაობაში იმ ხაზით, რომ ეს საზოგადოებები წარმოადგენდნენ არა მარტო საავტორო ჰონორარების შემკრებ ფისკალურ კანტორას, არამედ, გარდაიქმნეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციათ რომელმაც ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს დრამატურგიის, მუსიკის და კინოხელოვნების განვითარებას. ამ ახალ კურსთან დაკავშირებით კონფერენციამ დაადგინა ნაციონალურ რესპუბლიკებში ჩამოყალიბდეს ადგილობრივი საზოგადოებანი; კერძოთ საქართველოში კონფერენციის დადგენილების თანახმად 31 მარტამდე უნდა გაუქმდეს მოსკოვის და ლენინგრადის საზოგადოებათა სააგენტოები. საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო ინტერესებთან დაკავშირებული ყველა

ფუნქციები უნდა გადაეცეს ქართულ საზოგადოებას, რომელშიაც გაერთიანდება საქართველოში მცხოვრებ ავტორთა მთელი მასა.

კონფერენციამ დაავალა ქართულ საზოგადოებას აიღოს ინიციატივა მსგავსი საზ. ჩამოყალიბებისა სომხეთში და აზერბეიჯანში.

✦ **რადიო თეატრი კიევში.** ამ სათეატრო სეზონში ეწყობა კიევში რადიოთეატრი საკონცერტო პროგრამით; მონაწილეობენ ქალაქის საუკეთესო ძალები.

✦ **ეროვნულ უმც. კაბინეთი უკრაინის სამეცნ. აკადემიასთან.** უკრაინის აკად. ეთნოგრ. კომისიასთან საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნ. უმცირ. შემსწავლელი კაბინეთი, რომელიც შეუდგა საკვლევ-სამეცნიერო მუშაობას. კაბინეთის გამგემ პროფ. რიხლიკმა ზაფხულში მოაწყო მთელი რიგი ექსკურსიები, უმეტესად უკრაინის ჩეხთა კოლონიებში. აკადემიის საიუბილეო გამოფენისათვის კაბინეთმა მოამზადა მრავალი ექსპონატი.

✦ **უკრაინის ისტორიისა, ლიტერატურისა და ენის შესწავლა ლენინგრადში.** ლენინგრადის მუზეუმებსა, წიგნთსაცავებსა და არქივებში იმყოფება უამრავი პირველხარისხოვანი მასალები უკრაინის პოლიტიკური, ეკონომიური, ეთნოგრაფიული მხრივ შესასწავლად; ეს მდიდარი განძი თითქმის ხელუხლებელი იყო უკანასკნელ წლებამდე. მხოლოდ 1921 წელს ჩაისახა ლენინგრადში ამ ძეგლების შემსწავლელი საიზოგადოება, რომელიც 1923 წელს უკრ. აკადემიამ ჩარიცხა თავის დაწესებულებათა რიცხვში. მუშაობაში ჩაება რუსეთში მყოფი უკრაინელი ახალგაზრდობა. 1925 წლიდან საზოგადოებამ გააფართოვა მუშაობის პროგრამა: უმთავრესად რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკრაინელთა ყოფა-ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა.

✦ **მლვიმის ცხოველთა ნაშთების პოვნა.** ოდესის კატაკომბებში იპოვეს მლვიმის ცხოველთა ძვლები დიდი რაოდენობით; ნიმუშები წარდგენილია მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საოლქო კომისიაში, რომლის თავმჯდომარის, პროფ. დლოუევსკის აზრით, ნაპოვნი ნაშთები დიდ სამეცნ. ინტერესს იწვევს. ნაპოვნი არის დიდიხნის გადაშენებულ ცხოველთა (მლვიმის დათვის, ლომის, ჰიენის) ძვლები.

✦ **საბჭოთა პლაკატების გამოფენა ბერლინში.** პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესმა სკოლამ ბერლინში მოაწყო პლაკატების გამოფენა — ინგლისურის, გერმანულის ფრანგულის და საბჭოთა. პრესა ერთხმად აღნიშნავს საბჭოთა პლაკატების იდეოლოგიურ და მხატვრულ მიღწევებს.

✦ **ახალი საოპერო თეატრი ხარკოვში.** ხარკოვის საოპერო თეატრის შენობის კონკურსი გამოცხადებულია ევროპის მასშტაბით; თეატრის გახსნა განზრახულია 1932 წ. — ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე.

—:—